# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 50 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 47 შაბათი, 21 ენკენისთვე 1918 წ. № 47


ამ ნომერში ექვსი გვერდია


მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.


ქუთაისის საეპარქიო საბჭო და სასამართლო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას უეცრად გარდაცვალებას

## ქუთათელი მიტროპოლიტის ანტონისას

18 სექტემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ახალი სტილით, საარქიელო სახლში. დაკრძალვა სამშაბათს, 24 სექტემბერს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში.

---

კვირას, 22 სექტემბერს, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ნახევარი წლის თავზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი:

## გიორგი დიმიტრის ძის ვეზირიშვილის მისი დის ელისაბედის, დიმიტრი ფალავანდიშვილის შვილებით: არჩილ და ნინოს

სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულების დედა და ბებია ბარბარე ვეზირიშვილისა, ბიძაშვილები: სოლომონ ვეზიროვი და ეკატერინე დიშნიცკისა.

---

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ცნობილ ბელეტრისტის

## არსენ მამულაიშვილის (ლალიონის)

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 22 სექტ., 11 ს. დიდუბის სასაფლაოზე.

---

## განცხადება.

### ოზურგეთის მაზრის კომისარი

დაეძებს წერილობითი საბუთებს, რომლებიც დაეკარგა გერმანე იოსების ძე გოგიტიძეს სადგურ სამტრედიაში 6 სექტემბერს ამა წლისა, სახელდობრ: რწმუნების ქაღალდი, მიცემული ოზურგეთის ქალაქის გამგეობისაგან ქალაქის საქმეებზედ, პასპორტის წიგნაკი ოზურგეთის სამაზრო სამმართველოდან, მიცემული 1907 წელში. მპოვნელს სთხოვს საბუთები წარადგინოს კომისარიატში. 430 3—3

---

## განცხადება

### ვაჟთა მე-5 გიმნაზიაში

მისაღები და განმეორებითი გამოცდები დაიწყება 23 სექტემბრიდან, ხოლო სწავლა—1 ოქტომბრიდან.

---

## სახელმწიფო თეატრი.

ოპერის სეზონი 1918—19 წ. ნ. დ. დევიცკის დირექცია.

შაბათს, 21 სექტ. 1918 წ. რიხარდ ვაგნერ ტანჰეიზერი სამ მოქ. ოპერა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: ვოლ. ლევიცკაია, შვამბერგ, გარინსკაია, ოვსიანიკოვა, ვიშემირსკაია, ვლადინა, გედევანოვისა; ბ-ნნი: კანშინი, მოლჩანოვი, ვრონსკი, ნიკოლსკი, კურბატოვი, ორლოვი. დირიჟორი სტოლერმანი. კასა ღიაა დილის 10—2 საათამდე და 6-დან წარმოდგენის ბოლომდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ა ნ ო ნ ს ი: კვირას, 22 სექტემბერს—„რიგოლეტო“, 23—„ევგენი ონეგინი“:

---

## ვაჟთა და ქალთა გიმნაზია

## ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

ძ ხ ე ნ ი ა ს ქ., № 11.

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს. ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყო 2 ენკენისთვიდან.

50—21 გიმნაზიის გამგე ს. ნ. შულგინი.

---

## მილიციის უფროსის განცხადება.

ჩემს რწმუნებულებაში მყოფი გამგებლობა ყოველ დღე აუარებელი მოქალაქეებით ივსება, რომელნიც ტყუილ უბრალოთ ჰკარგავენ დროს თავისი ან კომისარების მიზეზით. ვთხოვ ყველა მოქალაქეებს, ყოველივე კითხვის შესახებ მიმართონ პირველად კომისარიატებს და მხოლოდ შემდეგ მომმართონ მე, როცა მათი საკითხი არ იქნება დაკმაყოფილებული, თან დაძენით, თუ რა მიზეზის გამო არ იყო შეწყნარებული ესა თუ ის თხოვნა, ან განცხადება, რომ კანონიერი პასუხი მოვთხოვო მილიციის მოხელეთ, რომელნიც უყურადღებოთ ეპყრობიან მოქალაქეთა გაჭირვებას. კომისარებს კი ევალებათ დაუყონებლივ დააკმაყოფილონ საბოლოოდ მიმსვლელნი და არ იკმარონ მილიციის უფროსის სამართველოში მოქალაქეთა გამოგზავნა.

მილიციის უფროსი უ რ უ შ ა ძ ე.

---

## ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს განცხადება.

ვისაც სპილენძის შეძენა ანუ გადაზიდვა სურს, ნებართვის მისაღებად უნდა მიმართოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო განყოფილებას (ჰავჭავაძის ქუჩა, № 2).

დღეიდან სამრეწველო განყოფილება მხოლოდ იმ მთხოვნელთ დააკმაყოფილებს, რომლებიც წარმოადგენენ უბნის, ანუ სოფლის კომისრის მოწმობას, რომ მთხოვნელთ მართლაც სჭირდება სპილენძი თავის საკუთარ მოთხოვნილებისათვის (სახელოსნოსთვის) და არა გასაყიდად.

---

## ქართული კლუბი

კ ვ ი რ ა ს, 22 ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ს,

დანიშნული ეროვნული **კონცერტი** კომპოზიტორ ნ. პ. სულხანიშვილისა.

სამი განყოფილებით. შესრულებულ იქნება მის გაძლიერებულ გუნდის მიერ

**ეროვნული სიმღერები და ჰიმნები სიმფონიურ ორკესტრით.**

მონაწილეობას იღებენ: კომპოზიტორი მ. ი. ბალანჩივაძე, მომღერალნი ქ-ნი კალანდაძე, ბ-ნი ქუმბურიძე. დაწვრილებით პროგრამებში. ბილეთები იყიდება კლუბის კასაში. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. 449 3—2

---

გამოვიდა და იყიდება

უნივერსიტეტის

— და —

თეატრის

**5.000.000 მან.**

## ლოტარიის ბილეთები

ბ ი ლ ე თ ი ღ ი რ ს 25 მ ა ნ.

პირველი მოგება 100.000 მან.

ბილეთები იყიდება იქ, სადაც გამოცხადებულია.

412 60—6

---

### ოფიციალური განყოფილება

კ ა ნ ო ნ ი

„განათლების“ საზოგადების—თამარ მეფის სახელობის—ქალთა საოსტატო სემინარიის მთავრობის გამგებლობაში გადაცემისა.

1. „განათლების“ საზოგადოების თამარ მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარია გამოცხადდეს სახელმწიფო სკოლად და გადავიდეს მთელი სასკოლო მოწყობილობით, ბიბლიოთეკით, მუზეუმით, მთავრობის გამგებლობაში.

2. გაღებულ იქნეს სემინარიის შესანახად სახელმწიფოს ხაზინიდან საჭირო თანხა თანახმად აქვე დართულ ხარჯთაღრიცხვისა.

1918 წ. სექტემბრის 6-ს.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

# შტატი

## თამარ-მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარიისა და 1918 წ. ხარჯთაღრიცხვა.

| № რიგზე. | თანამდებობა და საგანი ხარჯისა. | თანამდებობის რიცხვი. | ჯამაგირის რაოდენობა. წლიურად. მან. | კ. | 1 ივლისიდან წლის დამლევამდე. მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| | **§ 7 მუხ. 4.** | | | | | |
| | ლიტ. ა. მოსამსახურეთა ჯამაგირი. | | | | | |
| 1 | დირექტორს | 1 | 3600 | — | 1800 | — |
| | მასვე გაკვეთილებისა. | — | 450 | — | 225 | — |
| 2 | საგნების მასწავლებლებს | 4 | 7200 | — | 3600 | — |
| 3 | კლასის დამრიგებლის თანამდებობის აღმასრულებლებს | 4 | 2400 | — | 1200 | — |
| 4 | მოსამზადებელ კლასის მასწავლებელს | 1 | 1800 | — | 900 | — |
| 5 | მოსამზადებელ კლასის დამრიგებლის თანამდებობის აღმასრულებელს | 1 | 600 | — | 300 | — |
| 6 | მოსამზადებელ კლასების დამატებითი გაკვეთილებისა და გამგეობისა | — | 1110 | — | 555 | — |
| | მე-6 მუხ. განაწილება წლიურად. | | | | | |
| | 1. დირექტორს . . . 60 მ. | | | | | |
| | 2. ხატვისა და წერისა . . . 300 მ. | | | | | |
| | 3. მუსიკისა და გალობისა . . . 300 მ. | | | | | |
| | 4. ფიზიკური ვარჯიშობისა . . . 150 მ. | | | | | |
| | 5. ხელსაქმისა . . . 300 მ. | | | | | |
| | სულ . . 1110 მ. | | | | | |
| 7 | ადგილობრივ ენების მასწავლებლებს. | 2 | 3600 | — | 1800 | — |
| 8 | ხატვა—ხაზვის მასწავლებელს | 1 | 1200 | — | 600 | — |
| 9 | მუსიკისა და გალობის მასწავლებელს | 1 | 1200 | — | 600 | — |
| 10 | ლოტბარობისათვის | — | 600 | — | 300 | — |
| 11 | ხელსაქმის მასწავლებელს | 1 | 1050 | — | 525 | — |
| 12 | დაწყებითი სკოლის მასწავლებელთ | 4 | 3840 | — | 1920 | — |
| 13 | ფიზიკურ ვარჯიშობის მასწავლებელს | 1 | 900 | — | 450 | — |
| 14 | ექიმს | 1 | 600 | — | 300 | — |
| 15 | გიგიენის და ავადმყოფთა პირველ დახმარების გაკვეთილებისა | — | 300 | — | 150 | — |
| 16 | ფერშალს | 1 | 600 | — | 300 | — |
| 17 | მწერალს და ეკონომს | 1 | 800 | — | 400 | — |
| 18 | პედაგოგიურ საბჭოს მდივანს | 1 | 180 | — | 90 | — |
| 19 | სამკითხველოს გამგეს | 1 | 180 | — | 90 | — |
| 20 | ბინის ქირა. | — | 5407 | 50 | 2703 | 75 |
| | ჯ ა მ ი | — | 37617 | 50 | 18808 | 75 |
| | ლიტ. ბ. | | | | | |
| 21 | სამკითხველოსა და სასწავლო ნივთებისათვის. | — | 1600 | — | 800 | — |
| 22 | ხელსაქმის იარაღისა და მასალისათვის | — | 350 | — | 175 | — |
| 23 | სამუსიკო ინსტრუმენტების შეძენისა და შეკეთებისათვის. | — | 300 | — | 150 | — |
| | ჯ ა მ ი | — | 2250 | — | 1125 | — |
| | ლიტ. გ. | | | | | |
| 24 | მოწაფეთა სტიპენდიებისათვის 80 ძირითად და 20 მოსამზად. კლ. | — | 30000 | — | 15000 | — |
| | ლიტ. დ. | | | | | |
| 25 | სამეურნეო ხარჯისათვის | — | 7200 | — | 3600 | — |
| 26 | კანცელარიის ხარჯისათვის | — | 200 | — | 100 | — |
| 27 | ავადმყოფების მოვლისათვის. | — | 300 | — | 150 | — |
| 28 | ბინის ქირისათვის | — | 6000 | — | 3000 | — |
| | ჯ ა მ ი | — | 13700 | — | 6850 | — |
| | **§ მე-10 მუხ. 1.** | | | | | |
| 29 | ხუთწლეული დამატებისათვის | — | 7200 | — | 3600 | — |
| | საერთო ჯამი | — | 90767 | 50 | 45383 | 75 |

1918 წ. სექტემბრის 6-ს.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსა.

14 ენკენისთვე, 1918 წ.

№ 39.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ ნ ე ნ: განჯის გუბერნიის და იმავე მაზრის მესამე რაიონის გადასახადების ინსპექტორი დავით ნიკოლოზის ძე დ ა თ ე შ ი ძ ე—გადასახადების ინსპექტორად ქალაქ თბილისში მე-3 რაიონში.

№ 40.

შ ტ ა ტ ს გ ა რ ე შ ე რ ჩ ე ბ ა ს ა ე რ თ ო წ ე ს ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ: ყოფილ ამიერ-კავკასიის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროების ცენტრალურ დაწესებულებათა გაუქმების გამო ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის ბუხჰალტერის უმცროსი თანაშემწე ვლადიმერ ლევანის ძე წილოსანი.

№ 41.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ა: სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორის კომისარი რაჟდენ გლახუნას ძე დუმბაძე—სახელმწიფო სათავად-აზნაურო და საგლეხო საადგილ-მამულო ბანკების განყოფილებათა კომისრად თავის ძველ თანამდებობაზედ დატოვებით.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ჟ უ რ უ ლ ი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა (სამხედრო უწყების მიმართ).

№ 77.

12 ენკენისთვე 1918 წ. ქ. თბილისი.

ღრმა კმაყოფილების გრძნობით მივესალმე პარადზე გერმანიიდგან მოსულს ქართველს ლეგიონერებს. მათი ვაჟკაცური გამოხედულობა, მწყობრი სამაგალითო დისციპლინა, სამხედრო აღზრდილობა გერმანელთა ჯარების მსგავსად მაძლევს სრულს საფუძველს დარწმუნებული ვიყვე, რომ ვაჟკაცი ლეგიონერები იქნებიან სამსახურის ამსრულებლობის სამშობლოსათვის თავდადებულობის და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისადმი ერთგულობის მაგალითად და რომ ისინი შეადგენენ პატარას, მაგრამ მრისხანე ძალას ჩვენის სამშობლოს მტრების წინააღმდეგ. ნორჩ საქართველოს სახელმწიფოს ჰყავს ბევრი მტერი, რომელნიც მცხოვრებთა ერთის ნაწილს უმეცრებაზე დამყარებულნი, ხთესავენ შუღლს და მით აბრკოლებენ პარლამენტის და მთავრობის აღმშენებლობითს მუშაობას. სამშობლო ყოველთვის, და მეტადრე სახელმწიფოს აშენებლობის ხანაში, საჭიროებს ერთგულს შვილებს, რომელთაც ესმით კარგად მთავრობის მიზანი და რომელნიც მზად იქნებიან მის პირველსავე ბრძანებისამებრ დაუყოვნებლივ და სიცოცხლის დაუნანებლად გრიგალივით ეცნენ მტრებს, დაამხონ მათი წინააღმდეგობა და დაამყარონ სრული წესიერება და მშვიდობიანობა სახელმწიფოში. დაიმედებული, რომ ლეგიონერები საქართველოს მთელს ჯართან ერთად წარმოადგენენ სწორედ ამნაირს ერთგულს საქართველოს შვილებს, ერთხელ კიდევ ვესალმები ვაჟკაცის ქართველის ლეგიონერების მოსვლას.

ვთვლი ჩემს ზნეობრივ მოვალეობად, როგორც ქართველი, და სამსახურის ვალად, როგორც საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი, გამოვუცხადო გულითადი მადლობა ლეიტენანტს ხარც ლუდვიგის ძეს შპილგაკს, რომელსაც დიდი შრომა და მუყაითობა გაუწევია ლეგიონერების აღზრდასა და გაწაფვაზე მთელს ქვეყანაზე განთქმულის გერმანელთა ჯარების მსგავსად.

სამხედრო მინისტრი გ. გ ი ო რ გ ა ძ ე.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სამხედრო უწყების მიმართ.

14 ენკენისთვე, 1918 წ. ქ. თბილისი

№ 89.

თანახმად კანონისა ნამდვილს სამხედრო სამსახურში დატოვების და ჯარში გაწვევის შესახებ იმ პირთა, რომელნიც დაბადებულნი არიან 1895—1899 წ.წ. მუხ. 6, მიცემული მაქვს უფლება დავითხოვო არმიის სათადარიგოდ 1895 წლამდე შიგჩართვით დაბადებულნი მე-4 მუხლის თანახმად გაწვეულთა ჯარის ნაწილებში გამოცხადების კვალობაზე, მაგრამ არა უგვიანეს ამა წლის 1 ღვინობისთვისა.

ზემოდ ნაჩვენების მუხლის ძალით და იმის გამო, რომ ჯარის ნაწილებში გამოცხადდენ ახლად მოწვეულნი, ვუბრძანებ ნაწილების უფროსებს შეუდგნენ 1895 წლამდე შიგჩართვით დაბადებულის ჯარისკაცების დათხოვნას არმიის თადარიგშიდ ნაწილებში ახლად გაწვეულების გამოცხადების კვალობაზე, დათხოვნის დროს თანდათანობის დაცვით დასათხოვნთა წლოვანობის მიხედვით.

სამხედრო მინისტრი გ. გ ი ო რ გ ა ძ ე.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის მხედრობისადმი.

12 ენკენისთვე, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 79.

ფინინსთა მინისტრი 2 აგვისტოს 1918 წ. № 175992 თარიღით იუწყება, რომ ადგილი ჰქონიათ იმისთანა შემთხვევებსა, როდესაც ზოგიერთ ჯარის ნაწილის უფროსების მოთხოვნილებით მწარმოებელნი იძულებულნი ყოფილან მიეცათ მათთვის ფხვნილი თამბაქო და საზოგადოთ თამბაქოს ნაწარმოები სალერბო ხარჯის გადაუხდელად.

რადგანაც ამრიგი მოქმედებით საგრძნობი ზარალი ეძლევა სახელმწიფო ხაზინას, ვბრძანებ. აიკრძალოს თამბაქოს ნაწარმოების უაქციზოთ მიცემა სააქციზო სამმართველოს ნება დაურთველად.

სამხედრო მინისტრი გ. გ ი ო რ გ ა ძ ე.

სასურსათო სექციის უფროსი ივ. დეკანოზიშვილი.

### შ ე ს წ ო რ ე ბ ა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 45-თე №-ში (ამა წლის სექტემბრის 19, ხუთშაბათი) გამოქვეყნებულ ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს ს ა გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ლ ო ნ ა წ ი ლ ი ს შ ე ც ვ ლ ი ს კ ა ნ ო ნ თ ა ნ დართულ ნ უ ს ხ ა შ ი შემდეგი თვალსაჩინო შეცდომებია:

მე-2 მუხლის პირველ სტრიქონის მე-4 სვეტში დაბეჭდილია 63600. უნდა იყოს 9 3 6 0 0

იმავე მუხლის მესამე სტრიქონში მე-3 სვეტში დაბეჭდილია 500. უ ნ დ ა ი ყ ო ს 6 0 0.

მე-8 მუხლის მეოთხე სტრიქონის მე-5 სვეტში დაბეჭდილია 1500. უ ნ დ ა ი ყ ო ს 1 6 0 0.

მე-10 მუხლის მე-4 სვეტში დაბეჭდილია 123000. უ ნ დ ა ი ყ ო ს 1 9 3.0 0 0.

## არა ოფიციალური განყოფილება.

ტფილისი, 21 ენკენისთვე.

საზოგადოთ ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა და დიპლომატიური ურთიერთობა საზღვარ გარეთ ამ ბოლოხანებში სქელ ბურუსში იყო გახვეული.

მოწყვეტილი ვიყავით ყველაფერს. ინფორმაცია ძალიან იშვიათათ მოგვდიოდა და არ ვიცოდით როგორ და რა პირობებში უხდებოდა მოქმედება ჩვენს დელეგაციას ევროპაში. იყო კანტიკუნტად ცნობები სტამბოლის კონფერენციის შესახებ, შესდგება ის თუ არ შესდგება, აგრეთვე ვიცოდით რომ ევროპაში საერთოთ და გერმანიაში კერძოთ დიდი ფარული მუშაობა და ინტრიგები იყო გამართული ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

და ამ ფარული მუშაობის და ინტრიგის ქსელების სათავე იყო დამალული რუსეთის დიდმპყრობელურ და ბოლშევიკურ წრეებში, რომელთაც ხელს უწყობდა და აფრთიანებდა ჩვენი რესპუბლიკის შინაური მტრების მოღვაწეობა.

ახლა რამოდენიმეთ გამოიდარა. ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის სურათი საგრძნობლათ შეიცვალა და შეიცვალა სწორეთ საქართველოს სასარგებლოთ და საკეთილდღეოთ.

გუშინდელი ბატონების ფარულმა მუშაობამ ვერ გასჭრა, გულღვარძლიანი მტრების ინტრიგული ქსელები დაწყდა და საქართველოს დამოუკიდებლობა რუსეთის მიერ საერთაშორისოთ აღიარებულ იქნა.

აი როგორი შინაარსის დეპეშა მიიღო საქართველოს მთავრობამ ბერლინიდან ჩვენი საზავო დელეგაციის თავმჯდომარის, გარეშე საქმეთა მინისტრის ა. ი. ჩხენკელისაგან: „გერმანიამ და რუსეთმა ურთიერთშორის რატიფიკაცია მოახდინეს, რომლის ძალით აღიარებულია ჩვენი დამოუკიდებლობა. ჩემი ყოველგვარი ცდა იმის შესახებ, რომ ასეთივე ბედი სწვეოდა ჩვენს მეზობლებსაც, უშედეგოთ".

ეს მეტათ საყურადღებო ამბავი ჩვენთვის იმით არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ ჩვენი რესპუბლიკის უსშინელესი მტერი რუსეთის ბოლშევიკური მთავრობა იძულებული გახდა ეცნო ევროპის და თავის მოკავშირე სახელმწიფოების წინაშე საქართველოს დამოუკიდებლობა.

ამგვარათ ცხადია, რუსეთთან გამწვავებული მდგომარეობა ამ საერთაშორისო აქტის ძალით განელდება და ვიმედოვნებთ, და უთმობთ ადგილს საერთაშორისო კეთილგანწყობილებას და მშვიდობიან ეკონომიურ ურთიერთობას.

ცხადია აგრეთვე ისიც, რომ ეს ფაქტი რუსეთის მიერ ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარებისა ძალიან დააჩქარებს ჩვენთან სხვა მეზობელ სახელმწიფოთა დამოკიდებულების გამორკვევას და დასასრულს მისცემს გაუგებრობას და ანარქიას ჩვენი და მათი საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში.

განსაკუთრებით დღეს შეიძლება დავაფასოთ სავსებით ის შორსმჭვრეტელი პოლიტიკა, რომელსაც დაადგა საქართველოს რესპუბლიკა საერთაშორისო ურთიერთობაში.

გერმანიის ორიენტაციამ და მასთან დაკავშირებამ არა თუ გადაგვარჩინა ფიზიკურ განადგურებას და ოსმალეთის დაპყრობას გერმანიასთან დაკავშირების პოლიტიკამ უზრუნველყო ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობა ოსმალეთისა და ბოლშევიკებისაგან და რამდენადაც შესაძლებელია განამტკიცა საქართველოს მდგომარეობა სახელმწიფოთა შორის.

გერმანია არსებითათ დაინტერესებულია საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში და მან, როგორც ჩვენმა მოკავშირემ კიდეც აიძულა რუსეთი ეცნო ის, რის უარზე იდგა უკანასკნელ დრომდე, ეცნო საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა.

ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა ეთანხმება და ემყარება თვითგამორკვევის პრინციპს.

თუ რომელიმე ყოფილ რუსეთის იმპერიიდან გამოყოფილ ერს შეუძლია თქვას: მე უფლება მაქვს სახელმწიფოებრიობის და დამოუკიდებლობისა, ეს პირველ ყოვლისა ქართველ ერს შეუძლია. მას თავისი ისტორია, კულტურულპოლიტიკური თვითშეგნება, თავდადებული რევოლიუციონურ-დემოკრატიული ბრძოლა და თანამედროვე მდგომარეობა აძლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერ. საბჭომ მიიღონ ამის შესახებ ზომები. სახელმწიფომ თვითონ უნდა შეიყიდოს განსაზღვრულ ფასებში ხორბალი. ეს არც ისე ძნელი საქმე არის, როგორც ერთი შეხედვით გვგონია. კიდეც რომ იყოს, უნდა გადავლახოთ. სპეკულიანტებს ეხლავე უნდა მოესპოს საშუალება ხორბლეულობის შეძენისა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ სურსათის მოწესრიგების საკითხი ყველაზე დიდი და ძნელი სმქმეა ჩვენთვის".

სრული ჭეშმარიტებაა! და ამ ჭეშმარიტებას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ვალდებულ ორგანოებისაგან.

## სომხური პრესა.

„ორიზონი" ეხება ლორისა და ბორჩალოს მაზრებში სამხედრო ბეგარის გამოცხიდებას საქართველოს მთავრობის მიერ, რომლის გამოც ჰაიასტანის დიპლომატიურმა მისსიამ პროტესტი განაცხადა, რადგანაც ეს მხარე ჯერ სადაოა, და იმ ადგილებში არ არის არც ერთი ქართველთა სოფელი, არამედ ეხლაც სომხებით დასახლებულ უწინდელ ჰაიასტანის ერთ ნაწილს შეადგენსო და სწერს, სხვათა შორის, შემდეგს:

„ამნაირად იმ სახელმწიფომ, რომელმაც ივნისის პირველ რიცხვებში გამოაცხადა უსაფუძვლოდ, ვითომ სომეხთა ეროვნულ საბჭოს ოსძალებისთვის დახმარება ეთხოვნოს საზღვრების გამიჯნის გამო, რომ ერთი მეორესთან შეთანხმებით გადაჭრილიყო ეს საკითხი, თითონვე მეორე დღეს შესცვალა ეს ძოსაზრება და გარეშე ძალის (გერმანელების) დახმარებით დაიკავა სომეხთა ერთი დიდი ნაწილი. ეხლა, როცა ამისთანა საკითხების გადაჭრას სტამბულის კონფერენციაზე ველით, როცა თვით მკვიდრ ქართველთ ოლქებშიაც ფაქტიურად არ მომხდარა ბეგრის მოგროვება, როცა პატარა ერები, და მათ შორის სომხებიც, უფლებას მოკლებულნი არიან და არა ჰყავთ თავიანთ წარმომადგენლობა საქართველოს ეროვნულ საბჭოში—იმ ზომითაც-კი, რა ზომით თვითმპყრობელ რუსეთის სახელმწიფო დუმაში ჰყავდათ, ამისთანა დროს, ამისთანა გარემოებაში ჟორდანიას „მშობლიურ" გამგეობა იმპერიალიზმის საბუთებს იძლევა და არავითარ საშვალებებს არ ერიდება. არც საკვირველია, თუ-კი შულავერიდან „მეტი" პურის წაღებისათვის შეიძლებოდა შულავერის გარშემო ტყვიის მფრქვევლის დაწყობა ასეთივე ზომა უფრო ადვილი არ იყო სამხედრო ბეგრის გამოცხადების დროს?! მაგრამ სად მიგვიყვანს ასეთი ტაქტიკა? სჩანს ამ კითხვას არ ჩაჰკვირებიია ერთა სოლიდარობის ყალბი ინტერნაციონალისტები.

დაჩაგრული, დაჭრილი სომხობა, ნაჭერ ნაჭერ აკუწული ჩვენი სამშობლო, ელის უფრო ჭკვიან და ნამდვილ კეთილ მეგობრულ ურთიერთობის დამტკიცებებს თავის ძველსა და მიმგვანო ბედის მატარებელ ერის ხელმძღვანელებისაგან.,.

Quo wadis, iberia?

## თურქული პრესა.

თბილისის თურქულ გაზეთ „გელეჯეგ"-ში „საქართველოსა და სომხეთის მუსლიმანებს" სათაურით დაბეჭდილია შემდეგი წერილი:

„აგერ მალე სამი თვე შესრულდება რაც ამიერ კავკასიის მთლიანი სხეული ერთა მტრობათაგან, უფრო სიმართლე რომ ვთქვათ, ამიერ კავკასიის ერთა სათავეში მდგარი წარმომადგენლების უმსგავსოებისა და უვარგისობის გამო—სამად დაიყო. მანამდე კი ამიერ კავკასიის ერები ისე იგულისხმებოდა, როგორც ერთი სხეული. ისე მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი, რომ მათ ვერავითარი ძალა ვერ გაჰყრიდა, ერთმანეთს ვერ დააშორებდაო, მაგრამ ფლიდობამ და გაიძვერაობამ მთლიანი ეს ერთეული შეარყია და საუკუნოების განმავლობაში მეზობლურად და ძმურად მცხოვრები ეს ერები გაჰყო, ერთმანეთს დააშორა.

ადერბეიჯანი!

საქართველო!

და სომხეთი.

აფსუს! ხუთიოდე მხეცის ხელში სათამაშოდ გამხდარ ერებს!

აფსუს! ხმის ამოუღებლად ყოველ ნაირ მტარვალობისა და ჯაფის ამტანს და ამავე დროს, ყველა ბატონის წინაშე ქედის მომხრელ ჯამათს!

ბატონებმა გაგთიშეს. შემდეგ ამისა, ვითომდა ჭირისუფლად თქვენ მოგევლინათ. შეგექმნენ ნაზირ-ვეზირებად და გახდნენ დიდებულნი. მაგრამ მაინც სასტიკი ხასიათის არაა ეს შერყევა. ვერაფერი ძალა ვერ შეარყევს ამიერ კავკასიის ერთა შორის არსებულ ეკონომიურსა და სხვა საერთო დამოკიდებულებას. ეს საზღვრების გამიჯვნა არ არის, რომ ასე ურთი-ერთ შორის შექსოვილ, გადახლართული ერების დაყოფა-დანაწილებაც იქმნას შესაძლებელი.

ყოველმა გონიერმა პირმა კარგად იცის, რომ ამნაირი ხასიათის გაყრა დროებითი არის, სუსტია და გარეგნული სულიერად კი, ყველა ეს ერები შეერთებულია, ერთი თვისების არიან და ერთ მდგომარეობაში იმყოფებიან.

ამიერ კავკასიისა და ერების დაყოფა, დანაწილება შეუძლებელია. საქართველოში ბევრი სომხობა და მუსლიმანობა არის.

ადერბეიჯანში—სომხობა და რუსობა და სომხეთში—დიდძალი მუსლიმანები და რუსები იმყოფებიან და ჯერაც ისინი გლეხებად ირიცხებიან. მაგრამ ყოველ ერში და სახელმწიფოში სამართლიანობა მოითხოვს, რომ თავიანთ საზღვრებში მოქცეული სხვა ერებიც არ იქმნენ სამოქალაქო უფლებებს მოკლებულნი.

უმცირესობაში დარჩენილმა პატარა ერებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო მართვა გამგეობაში.

აქ ადერბეიჯანზე კი არაფერს ვიტყვით, მიტომ, რომ იქ ადერბეიჯანის თურქების უმრავლესობა მართვა-გამგეობაში სრულიად მონაწილეობას არ ღებულობენ. იქ მხოლოდ ხუთიოდე ძველი ბატონები მართველობენ.

ჩვენ მხოლოდ საქართველოსა და სომხეთზე მოგახსენებთ.

ამას წინად მიღებულ ცნობების მიხედვით სომხეთის სარესპუბლიკოს მმართველობაში მონაწილეობის ძისაღებად მუსლიმანები და რუსებიც მიუწვევიათ და მათი წარმომადგენლები—ეროვნულ საბჭოში მიუღიათ. ასე რომ თავიანთ სამინისტროში ორი ადგილი მუსლიმანებისათვის დაუთმიათ.

კარგი და პატიოსანი!

ნამდვილი დემოკრატობა!

მართალია ეს საგულისხმიერო ამბავი თავის დროზე მოსდა, ძაგრამ ცოტა უკანონოდ არის. წარმომადგენლები ხალხს არ ამოურჩევია. ისინი ისევე ხუთიოდე ბატონების მიერ არიან არჩეულნი. და ამ ეროვნულ საბჭოში მისული წარმომადგენლები არასოდეს არ იქნებიან ხალხის სულიერი ვითარების მცოდნენი, ისინი მხოლოდ თავიანთ კლასობრივ ინტერესებს დაიცავენ, ხალხს არ იცნობენ. ამის მიხედვით სომხეთის ეროვნულ საბჭოში მუსლიმანების მიღება ჩვენ იმდენად არ გვახარებს მიტომ, რომ დანამდვილებით ვიცით, ეს წარმომადგენლები საბჭოში მდაბიო მუსლიმანების, მუშების და მხვნელ-მთესველების ინტერესებს იოტის ოდენათაც არ დაიცავენ. ამ მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველად ისევე სომხის სოციალ-დემოკრატები არ უნდა გამოვიდენ, რაც მუსლიმანების ნაციონალისტებს განცვიფრებაში მოიყვანს მიტომ, რომ საბჭოში მუსლიმანების წარმომადგენელი იმყოფებიან, ამავე დროს მუსლიმანი დემოკრატიის ინტერესები სომხის სოციალ-დემოკრატების მიერ იქნება დაცული.

ჩვენ კი ეს არ გაგვაოცებს, რადგან ჩვენის აზრით ეროვნული გარჩევა, განსხვავება—მეოცე საუკუნეში თანდათან ისპობა და მის ადგილს, კლასობრივი გარჩევა-განსხვავება იჭერს. ეროვნული ბრძოლის მაგივრად კლასობრივი ბრძოლა ჩადგება.

შეიძლება, სომხის სოციალ-დემოკრატებმა მუსლიმანების ცხოვრება კარგად არ იციდენ, მუსლიმანების კერძო მოთხოვნილებანი ვერ დააკმაყოფილონ, მაგრამ ეროვნულ საბჭოში მუსლიმანების წარმომადგენლები, რომლებმაც კარგად იციან მუსლიმანების ცხოვრება, იქ მაინც ხმას არ ამოიღებენ.

მხოლოდ ამ შემთხვევაში ცოტაოდნად გვაწუხებს სომხეთში მყოფი მუსლიმანების მდგომარეობა. რაც შეეხება საქართველოს, თამამათ შემიძლია ვსთქვა, რომ საქართველოს მთავრობას სურს საქართველოს საზღვრებში მუსულმანების წარმომადგენლები, ხალხის უმრავლესობის მიერ იქმნას არჩეულნი, იყოს უმრავლესობის მოკეთე, კეთილის მდომი და ეროვნულ საბჭოში მიღებული, და არა ბაზარში ყვირილით არჩეული პირები.

და სწორედ აი ამ გარემოებით გამოწვეული მიზეზების გამო არის, რომ ერთა უმცირესობის წარმომადგენლები დღესაც არ არიან საქართველოს ეროვნულ საბჭოში არჩეულნი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დაადგინა საჩქაროდ მოხდეს არჩევნები და წარმომადგენლები გამოიგზავნოსო და მთავრობის მხრივაც იქნას მიღებული ზომები ამის გამო, მაინც ჯერაც არ არჩეულან წარმომადგენლები.

დრო არ ითმენს. ერთი დღეც არ გამოიტოვება.

ბორჩალო, ყარაიაზი და კახეთიდან საშიშარი ამბები მოდის. მუსლიმანები, ცბიერებისა და პრავაკატორების ჩაგონებით ქართველებს მტრულის თვალით უცქერიან.

ასეთს მდგომარეობას უნდა მოეღოს ბოლო, რათა საქართველოში მყოფ მუსლიმანებს მიეცეს მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება. მოახდინონ საჩქაროდ არჩევნები და გამოგზავნონ საქართველოს ერთვნულ საბჭოში მათი ეროვნული წარმომადგენლები.

# ეროვნული საბჭო

### მე-34 სხდომა

### პარასკევი, 30 აგვისტო 1918 წ. ტფილისი, სასახლე.

თავმჯდომარეობს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომრის ამხანაგი ი ე ს ე ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი.

მდივნობს ეროვნულ საბჭოს მდივანი დ ა ვ ი თ ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი.

პრეზიდიუმში არიან: თავმჯდომარის ამხანაგი ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი და მდივნის ამხანაგი ი ო ს ე ბ ა ბ ა კ ე ლ ი ა.

კრება 12 ს. და 45 წუთზე იწყება.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. კრება გახსნილია მდივანს ვთხოვ წაიკითხოს დღიური წესრიგი.

დ. ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი. (კითხულობს) ცნობა კომისიებში გადასაცემ კანონ-პროექტების შესახებ.

პ ი რ ვ ე ლ ი. მთავრობის წინადადება—სახელმწიფო კონტროლიორისათვის ჯამაგირის დანიშვნის შესახებ.

(საბჭო ადგენს ეს წინადადება საფინანსო კომისიას გადაეცეს წინასწარ განსახილველად).

დღიური წესრიგი.

პ ი რ ვ ე ლ ი. საბოლოო ტექსტი საბაჟოების მოწყობის კანონისა.

მ ე ო რ ე. საბოლოო ტექსტი—ქართულ უნივერსიტეტის გადაკეთების კანონისა.

მ ე ს ა მ ე. საბოლოო ტექსტი სასამართლოს ბოქაულთა და გზირთა საგასამრჯელო ნიხრის გადიდების კანონისა.

მ ე ო თ ხ ე. განხილვა კანონ-პროექტისა ეროვნულ საბჭოს სტენოგრაფიულ ოქმების შემდგენელთა ჯამაგირების გათანასწორების შესახებ.

მ ე ხ უ თ ე. განხილვა კანონ-პროექტისა ქალ. ჭიათურის სასარგებლოდ შავქვაზე არსებულ გადასახადის გადიდების შესახებ.

მ ე ე ქ ვ ს ე. განხილვა კანონ-პროექტისა სხვა და სხვა უწყებათა სკოლების, განათლების სამინისტროს უწყებაში გადაცემის შესახებ.

მ ე შ ვ ი დ ე. განხილვა კანონ-პროექტისა „განათლების" საზოგადოების თამარ-მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარიის მთავრობის გამგებლობაში მიღების შესახებ.

მ ე რ ვ ე. განხილვა კანონ-პროექტისა სამასწავლებლო ინსტიტუტის და სემინარიების გაეროვნების შესახებ.

მეცხრე. განხილვა კანონ-პროექტისა განათლების სამინისტროს ორგანიზაციის და შტატების შესახებ.

მ ე ა თ ე. განხილვა კანონ-პროექტისა სამრეწველო ნახირზე გადასახადის გადიდების შესახებ.

მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე. განხილვა დებულებისა რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოსი.

მ ე თ ო რ მ ე ტ ე. განხილვა კანონ-პროექტისა ეროვნულ უმცირესობათა წარმომედგენლობისა ეროვნულ საბჭოში.

მ ე ც ა მ ე ტ ე. საბჭოს წევრის—ალექსანდრე ახმეტელის მთავრობისადმი შეკითხვა—პურის და სანოვაგის სიძვირის ნიადაგზე წარმოებულ აგიტაციის შესახებ საქართველოს დამოუკიდებლობის და რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ამ წესრიგიდან სამი კითხვა უნდა იყოს გადადებული. დღიურ წესრიგის შესახებ სიტყვა ეკუთვნის შალვა მიქელაძეს.

შ ა ლ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე (ს. ფედ.) ის დავალება, რომელიც მისცა წინა კვირას სამანდატო კომისიას ეროვნულმა საბჭომ ეროვნულ უმცირესობის კანონის შესახებ,—სამანდატო კომისიამ ჯერ ვერ შეასრულა სავსებით და უმორჩილესად ვთხოვთ, რომ ეროვნულმა საბჭომ ერთი კვირის ვადა კიდევ მისცეს მუშაობის შესრულებისთვის.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვინ არის წინააღმდეგი, რომ სამანდატო კომისიას მიეცეს კიდევ ერთი კვირის ვადა? არავინ. მაშასადამე მიღებულია. სამანდატო კომისიას კვლავ ერთი კვირის ვადა მიეცემა.

დ. ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი. კითხულობს ეროვნულ დემოკრატების პარტიის განცხადებას. ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმს. განცხადება. „ამით გაცნობებთ, რომ გიორგი გვაზავას და იასონ ლორთქიფანიძის ნაცვლად სამანდატო კომისიაში ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია ასახელებს რევაზ გაბაშვილს და სპირიდონ კედიას.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვინ არის ამის წინააღმდეგი? მაშასადამე აქ განცხადება შემოიტანეს ასათიანმა და ლორთქიფანიძემ, რომელნიც თხოულობენ, რომ უპირველეს ყოვლისა გარჩეული იყოს მესამე, მეოთხე და მეცხრე კითხვები: ე. ი. განხილვა კანონ-პროექტისა ქ. ჭიათურის სასარგებლოდ შავ-ქვაზე არსებულ გადასახადის გადიდების შესახებ, განხილვა კანონ-პროექტისა სამრეწველო ნახრზე გადასახადის გადიდების შესახებ და განხილვა კანონ-პროექტისა—ეროვნულ საბჭოს სტენოგრაფიულ ოქმების შემდგენელთა ჯამაგირების გათანასწორების შესახებ. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე ეს მიღებულია. დანარჩენში საბჭო უცვლელად იღებს დღიურ წესრიგს. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ასათიანს.

ალ. ა ს ა თ ი ა ნ ი. ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმმა შეიმუშავა ის კანონ-პროექტი, რომელიც შეეხება ეროვნულ საბჭოს სტენოგრაფიულ ოქმების შემდგენლებს.

ივნისის 12 მიღებული იყო ეროვნულ საბჭოსაგან სმეტა ამ სტენოგრაფიის ანგარიშების შესადგენლად წლის ბოლომდის ოცი ათასი მან. განზრახული იყო ჯამაგირები: უფროსი სტენოგრაფიის ანგარიშის შემდგენლებს—700 მ. უმცროსებს—500 მ. ეხლა ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმმა შემოიტანა კანონ-პროექტი, რომ მათი ჯამაგირები გაუთანასწორდეთ. და დაარსებული იყოს თითოეულისთვის—700 მან. ამისთვის ახალი კრედიტი არ არის საჭირო, ვინაიდან ის თანხა, რომელიც გადადებულია ამ საქმისთვის სავსებით საკმარისია, რადგან სტენოგრაფიულ ანგარიშების შემდგენელნი ჯამაგირის მიღებას დაიწყებენ მარიამობისთვის ოციდან, კრედიტი კი უფრო ადრე იყო გახსნილი, ისე რომ ახალი კრედიტი სრულიად საჭირო არ არის.

ნება მიბოძეთ წავიკითხო ეს კანონ-პროექტი (კითხულობს კანონ-პროექტს).

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის სურს სიტყვა საერთო კითხვის შესახებ. არავის. გთხოვთ მუხლობრივ წაიკითხოთ.

ალ. ა ს ა თ ი ა ნ ი· (ერ.-დემ.) კითხულობს პირველ მუხლს.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია. შემდეგი პროექტი.

ალ. ა ს ა თ ი ა ნ ი. (ერ.დ-.) დღეს ქ. ჭიათურის სასარგებლოდ არსებობს გადასახადი. ყოველ დატვირთულ ფუთზე შავი ქვისა ნახევარი კაპეიკი, ეხლა ეს გადასახადი ნახევარ კაპეიკით გადიდებული არის. და ჭიათურის სასარგებლოდ შავი-ქვით დატვირთულ ყოველ ვაგონს ფუთზე თითო კაპეიკი გადახდება.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის ჰსურს სიტყვა ამის შესახებ? არავის. წაიკითხეთ მუხლები.

ალ. ა ს ა თ ი ა ნ ი. (კითხულობს პირველ მუხლს).

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვინ არის წინააღმდეგი ამ მუხლისა? არავინ. მაშასადამე მიღებულია. ეხლა განვიხილავთ მეცხრე მუხლს: მეცხრე მუხლის შესახებ მომხსენებელი გახლავთ იასონ ლორთქიფანიძე.

იას. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. (ერ.-დემ.) აწ არსებული კანონით სამრეწველო საქონელზე, რომელიც იკვლება დი იყიდება, არის ორგვარი გადასახადი:—ერთი ის გადასახადი, რომელიც იკრიბება და იხმარება მხოლოდ ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად. მეორე ქალაქისათვის. ის გადასახადი, რომელიც იკრიფებოდა ხაზინისთვის მხოლოდ იხმარებოდა ჭირის ბრძოლის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ფული შედის არა საზოგადო ხაზინის თანხაში, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში, ეგრედ წოდებული მე-16 პარაგრაფის ძალით. ფული ხაზინის სასარგებლოდ იკრიფებოდა ნიხრით, ე. ი. საქონლის დაფასების პროპორციით. სამინისტრო პერიოდულად აფასებს საქონელს ხარს, კამეჩს, ცხვარს, თიკანს და სხ. და ამაზე 2 პროც. იღებს. მთავრობამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღძრა საკითხი, რომ ეს ნიხრი, რომელიც იყო წინად, რუსეთის ძთავრობისაგან დამტკიცებული, გამოცვლილი იყოს, რადგანაც ყველა საქონელზე აიძატა ფასმა პროცენტი კი იგივე დარჩება, რომელიც იყო ადრევე 2%—6%.

საბიუჯეტო კომისია თანახმა არის ნიხრის გადიდებაზე; იმ ნიხრისა, რომელიც წარმოდგენილია შინაგან საქმეთა მინისტრისაგან:

მხოლოდ მთავრობა ყურადღებას აქცევს, იმას რომ, ის წესები, რომელიც აქამდინ იყო რუსეთში, სრულიად მიუღებელია. რუსეთში ძალიან ბევრი თანხა არის, ძალიან ბევრი გადასახადი, რომელიც არ შედის საზოგადო ხაზინის თანხაში, არამედ შედის სხვა და სხვა უწყების განკარგულებაში, და ისინი ხარჯავენ, როგორც თვითონ მოისურვებენ: ჩვენი აზრი ასეთია, რომ ყოველივე გადასახადი,

თლებს ყველგან და ყველაფერში მთელი კაცობრიობის წინაშე.

ამას მეტყველებს ჩვენი დღევანდელი ბრძოლა შინა სახელმწიფოებრიობის და დემოკრატიული წყობილების გასამტკიცებლათ და დღევანდელი საგარეო პოლიტიკა საერთაშორისო პირადობის და დამოუკიდებლობის ხელუხლებლობისათვის.

ჩვენი მდგომარეობის ეს თვისებები იმგვარი მნიშვნელობისაა, რომ შეუძლებელია მათთვის ანგარიში არ გაეწიათ იქ, სადაც მუშტრის თვალით ისინჯება და იწონება საერთაშორისო უნარი, გავლენა და ღირებულება.

რატომ არ იცნო რუსეთმა ადერბეიჯანი და სომხეთი?

ამ კითხვის გადასაჭრელათ და გასაშუქებლათ სამწუხაროთ საკმაო ფაქტიური პოლიტიკური მასალა არ მოგვეპოება ამ ჟამად. ყოველ შემთხვევაში ამ საკითხს ჩვენ დაუბრუნდებით და გავშინჯავთ სხვათაშორის იმასაც, თუ რამდენათ საფუძვლიანია ამ ფაქტის ახსნა იმ გარემოებით რომ ადერბეიჯანის დამოუკიდებლობის ცნობა რუსეთის მიერ ოსმალეთს უნდა მოეხერხებია, ხოლო სომხეთს სულაც არ აღმოაჩნდა დიდი მფარველი სახელმწიფო, რომელიც რუსეთის წინაშე მის დამოუკიდებლობას დაიცავდა.

ჩვენ ძალიან კარგათ გვესმის ა. ი. ჩხენკელის გულის წუხილი მისი ცდის უნაყოფოების გამო ჩვენი მეზობელი რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შესახებ.

ეს გულისწუხილი საქართველოს მთელ დემოკრატიისთვის არის საგრძნობელი, ეს მთელ ქართველი ხალხის გულ-სწუხილია. ვინაიდან ადერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკის ბედ-იღბალი ჩვენი რესპუბლიკის ბედ-იღბალთან მრავალგვარათ არის დაკავშირებული და გადახლართული და მათი ჭირი და ლხინი ძალიან ახლოს ხვდება საქართველოს რესპუბლიკის სულსა და გულს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაინტერესებულია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები სრულიად დამოუკიდებელი და თავისუფალი იყვენ და დემოკრატიულათ დაუბრკოლებლივ ვითარდებოდენ.

ჩვენი რესპუბლიკის მთავრობა თვის საერთაშორისო პოლიტიკის დროშას არასოდეს არ უღალატებს და ყოველთვის მთელს თავის საერთაშორისო ძალ-ღონეს და გავლენას იხმარს მეზობელ ერების სახელმწიფოებრივ არსებობის ხელუხლებლობის და თავისუფლების გადასარჩენათ.

## ტყიბულის საქმე.

რევოლიუციის ხანაში მაქსიმალიზმი ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგრამ ყოველი გონიერი და გათვალისწინებელი პოლიტიკოსი ყოველთვის ებრძვის მას, რადგან მაქსიმალიზმს მოძრაობა დაღუპვის კარამდე მიჰყავს და თუნდ გამარჯვებული მაქსიმალიზმით დაბოლოს მაინც აუცილებლად უფსკრულში იჩეხება. მაგრამ აქ სამწუხარო ის არის, რომ მაქსიმალიზმთან ერთად იღუპება ხოლმე ის ელემენტარული დემოკრატიული უფლებანიც, რომლისთვის ბრძოლის დროშა იყო აღმართული. შორს ნუ წავალთ და რუსეთის 1917 წლის დიდი რევოლიუცია თავის ბოლშევიზმი ამის ნათელი და აშკარა მაჩვენებელია. მხოლოდ ბრმას არ შეუძლია დაინახოს და ვფიქრობთ, შეუძლია იგრძნოს-კი, რომ რუსეთის რევოლიუცია, რომელმაც შესცურა ბოლშევიზმის მაქსიმალიზმში, აგონიას განიცდის, და ჰორიზონტზე მხოლოდ შავი დროშის აჩრდილი მოსჩანს. შორს აღარაა ის დრო, როდესაც ეს აჩრდილი გადმოიწევა და თვით დროშა ცენტრში აფრიალდება. ამის თავდებია ის ძლიერი მოძრაობა, რომელსაც ჭეშმარიტი რუსები და მონარქისტები ხელმძღვანელობენ. მაქსიმალიზმთან ერთად საფლავი ეთხრება ელემენტარულ დემოკრატიულ უფლებებსაც.

ეს ცოცხალი მაგალითი, რომელიც ჩვენს თვალწინ მოძრაობს დავიწყებული არ უნდა იქნეს არც ერთ შეგნებულ მოქალაქესაგან, ვისაც სურს, რომ ჩვენი ძვირფასი თავისუფლება, ჩვენი დამოუკიდებლობა ფეხქვეშ არ იქნეს გათელილი და გაპარტახებული. ჩვენი ქვეყანა სწორედ მან გადაარჩინა, რომ მაქსიმალიზმს ნაკლები ადგილი დაუთმო და მაქსიმალიზმის ანარქიას უმთავრესად ასცდა. ვაი და ვუის შეეყრებოდა ჩვენი თავისუფლება, რომ ჩვენში მაქსიმალიზმი გამეფებულიყო. ეს ესმის ყველა შეგნებულს, მაგრამ ეს არ ესმის ტყიბულელ მუშებს. ამ ახალ მოდის არისტოკრატებს.

ყველამ კარგად იცის, რომ დღეს, მაშინ, როდესაც ეკონომიურად ყოველმხრივ მოწყვეტილი ვართ და ბაქო ჩვენგან იზოლიაციის წრეშია მომწყვდეული,—ტყიბულის ქვა-ნახშირს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი ქვეყნის სუსტი ეკონომიური ცხოვრებისათვის—ტყიბული ყველაფერია და თვითეული შეგნებული მოქალაქე მას სიფრთხილითა და სინიზით უნდა უვლიდეს და პატრონობდეს. ეს კარგად იცის ყველამ. ეს იციან აგრეთვე ტყიბულის მუშებმაც, რომელთა კადრსაც შეადგენენ ტყიბულის რაიონის გლეხები, რომელთა ინტერესი ეტყობა საკუთარ ღობეს იქით არ მიდის. მათაც ესმით ტყიბულის დღევანდელი უაღრესათ დიდი მნიშვნელობა,—და აი აჭერენ ფეხს მწარმოებელს,—ამ შემთხვევაში მწარმოებელ საქართველოს რესპუბლიკას. ჯერ კიდევ ამ ერთი თვის წინათ მათ წამოუყენეს სახელმწიფოს ისეთი უზარ მაზარი მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილებას არამც თუ შესძლებდა თვით წარმოება, არამედ სახელმწიფოს ხაზინას უნდა ეზღო, აბსურდია ისეთი სამრეწველო დარგის წარმოდგენა, სადაც წარმოება თავის ხარჯებს მაინც არ ისტუმრებდეს. და ასეთად კი გადაიქცა ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები. გაჭირვებულ, სასტიკ მდგომარეობაში სახელმწიფო იძულებული გახდა ტყიბულის მუშებისათვის ზედმეტი ეძლია და მათი პირდაპირ ზღაპრული და გაუმაძღრული მოთხოვნილება დაეკმაყოფილებია. მომენტის სირთულისა და სიმძიმის ვერავითარმა ახსნა-განმარტებამ, რჩევა-დარიგებამ „მუშებზე“ ვერ გასჭრა და მათ, როდესაც იგრძნეს თავისი ძლიერება, შეეცადენ მწარმოებელ - სახელმწიფოს „გამოჭერას“. და მართლაც „გამოიჭირეს“ იგი პირველად.—და შეიძლება ეფიქრა ადამიანს, რომ ამით დაკმაყოფილდებოდენ ისინი. მაგრამ, მადა ჭამაში მოდის, და ტყიბულის არისტოკრატებიც ყალყზე ადგენ, ახალი, კიდევ უფრო დიდი მოთხოვნილებანი წამოაყენეს. ტყიბულის არისტოკრატები, ვამბობთ ჩვენ, და იმიტომ, რომ ისინი სხვას აწვებიან ზურგზე, სხვის ხარჯით იტენიან საკუთარ ჯიბეს და არ დაგიდევენ სახელმწიფო ინტერესებს. დღეს კვლავ გაფიცულან ისინი და წამოუყენებიათ ისეთი შეუფერებელი მოთხოვნილება, რომელიც ყოველგვარ გაგონილ მაქსიმალიზმს აღემატება, და არ ფიქრობენ, რომ სახელმწიფოს, მრეწველობას ამ თავის უგონო მაქსიმალიზმით ლახვარსა სცემენ და აჩანაგებენ. არ ზრუნავენ, რადგან თავის ეგოისტურ ინტერესს სახელმწიფოებრივზე მაღლა აყენებენ, დღეს, დღევანდელ პირობებში ტყიბულელების ასეთი გამოსვლა პირდაპირ ღალატს უდრის. მათი მუხანათური მოქმედება სასტიკად დამღუპველია. ისინი სცარცვავენ ხალხს და მის ხაზინას. ეს ყოვლად დაუშვებელია. ამის წინააღმდეგ უნდა მიღებულ იქნას საჭირო და შესაფერი ზომები.

და სრულიად სამართლიანად გამოსთქვა თავისი სასტიკი გულისწყრომა რკინისგზელთა ყრილობამ ტყიბულელების წინააღმდეგ და სამართლიანათვე მოუწოდა მთავრობას მიიღოს მკაცრი ზომები, რათა ტყიბულის ქვანახშირზე მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობდეს.

## ქართველები და სომხები.

საქართველოს დამოუკიდებლობის მტერთა ბანაკში თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ სომეხთა „სოციალისტურ“ პარტიას „დაშნაკციუტუნს“ და სომეხთავე კადეტებს. არ იქნა ვერ მოინელეს ამ ვაჟბატონებმა საქართველოს განთავისუფლება მონობისაგან, არ იქნა ვერ შეურიგდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას და დღესაც კბილები უკაწკაწებსთ ჩვენს სახელმწიფოზე, დღესაც, როგორც ყოველთვის, ქვა-გუნდას გვაყრიან, ცილს გვწამებენ და ცდილობენ ქვეყნის თვალში აბრუ გაგვიტეხონ, ვილასთანაც დაგვაბეზღონ, ჩაგვქოლონ და დაგვწიხლონ.

ამ ჟამად სომეხ შოვინისტებს საქართველოს წინააღმდეგ „მძიმე არტილერია“ გამოუგორებიათ მანუკ აბელიანის სახით, რომელიც „ჟოღოვორდი ძაინის“ ფურცლებზედ დანავარდობს და მარჯვნივ და მარცხნივ მუსრავს უწყალოდ ქართველებს და, ჩვენს მთავრობას. ყოველგვარი სისაძაგლე, ჭუჭყი და ტალახი დაუგროვებია ამ „მეცნიერს“ და თავზედ ანთხევს ქართველ ერს და, მის დემოკრატიას. ცილისწამებასა და სიყალბეზედ აგებულ ბრალდებით სურს სომეხ პუბლიცისტს სახელი გაუტეხოს საქართველოს, მაგრამ გავუსინჯოთ კბილი მანუკ აბელიანის ლათაიებს, მივყვეთ კარამდე ტყუილის მთქმელს და ცხადვჰყოთ არაკეთილსინდისიერება ჩვენი განმქიქებელისა.

მანუკ აბელიანს ქართული არ სცოდნია და თურმე სომხურ გაზეთებში კითხულობს ყველაფერს, რაც სომხების შესახებ ქართულ გაზეთებში ისტამბება და თურმე რაც წაუკითხავს, „სულ ცუდი, საერთო მწვავე სიძულვილით აღსავსე შოვინისტური“. კარგს კი ქართველები ძლიერ ცოტასა სწერენ თურმე სომხებზედ, მაგრამ სომხები და მანუკ აბელიანიც რასაკვირველია ისეთი მიმყოლი და დამჯერებელია სხვისი სიტყვისა, რომ სუყველაფერს მალე ივიწყებენ.

მადლი ღმერთს, რომ „ივიწყებენ“, თორემ ყოველი ჩვენი „სიცუდე“ რო გახსენებოდა ბ. აბელიანს ხო სულ ერთიანად გაგვანიავებდა, თუ კი უამისოდაც სრულიად უსაბუთოდ და უსაფუძვლოდ მიწასთან გვასწორებს.

მაგრამ პუბლიცისტისათვის მეტი ბარგი არ უნდა იყოს ცოტაოდენი არგუმენტაცია მაინცა და მაინც, თორემ მარტო ოდენ ლირიკულ წუწუნით ვის ან რა უნდა დაუმტკიცოს ბ-მა აბელიანმა. ეგრე ხო ჩვენც შეგვიძლია ვსთქვათ,—და ამის საბუთი და უფლება ჩვენ მეტი გვაქვს ვიდრე სომეხ პუბლიცისტს,—რო ჩვენ სომხური არ ვიცით და რაც წაგვიკითხავს ქართულად სომხურ გაზეთებიდან გადმოსტამბული სულ ერთიანად თავ-წაყრით ცუდი, ჩვენდამი სიძულვილით, ღვარძლითა და მტრობით ნაკარნახევია, მაგრამ ეს არ კმარა პუბლიცისტიკაში, საჭიროა ნათქვამის დასამტკიცებლად ფაქტებიც, ბ-ნი აბელიანი კი ბრძანებს: მე აქ არ მინდა ფაქტები მოვიტანო, თუ საჭირო (!) იქნება ბევრ ფაქტს მოვიტანო. განა ეს „სათუო“ არის, განა პუბლიცისტმა არ იცის, რომ როდესაც მთელს ერს, სახელმწიფოს, რესპუბლიკას, მთავრობას ბრალსა სდებს, საამისო ფაქტებიც უნდა აღნიშნოს, ფაქტებზედ უნდა ააგოს ბრალდება! მაშ როდის ღაა საჭირო ფაქტი, არგუმენტი?

მაგრამ ბ. აბელიანსაც ჰქონია ერთი საბუთი, რომელსაც აუვსია იმის მოთმინების ფიალა და ისიც აქვეყნებს ჩვენდა სამარცხვინოდ ამ „საბუთს“.

ჩვენც განვიხილოთ ეს „საბუთი“.

პ. ქ.

## პრესის მიმოხილვა.

საქართველოს ცხოვრებაში ერთი ისეთი დიდი მოვლენა წამოიჭრა, რომელიც ყველას ყურადღებას იპყრობს. ჩვენს ისედაც ანგრეულ მრეწველობას თავს დაესხნენ და ეკონომიურ-კულტურულ კეთილდღეობის დასასამარებლად განემზადენ ტყიბულის მუშები. მათ მთავრობას წაუყენეს ისეთი მოთხოვნილებანი, რომელიც ლახვარსა სცემს და ანადგურებს ტყიბულის წარმოებას.

ამ მეტად ამაღელვებელ ფაქტს ეხება გაზეთი „ერთობა“ და სწერს:

„ეს გაფიცვა ისეთი ტერორია, ეს ისეთი თავდასხმაა, რომელსაც ვერ შეურიგდება ვერც მუშათა კლასი და ვერც შეგნებული დემოკრატია. ან ვინ შეურიგდება, როცა ტყიბულის გაფიცვის მეოხებით მთელი ჩვენი მიმოსვლის მთავარი საშუალება უნდა შეჩერდეს და ამასთან ერთად, უნდა შეჩერდეს მასთან მჭიდროთ შეკავშირებული მთელი ჩვენი ეკონომიური არსებობა.

ეს ისეთი ანარქიაა, რომლის მსგავსიც არ გვინახავს და რომელიც შინაურ და გარეშე მტერს საშუალებას აძლევს თავი წამოყონ, ანარქიის მძეინვარებაზე შექმნან ის, რაც მათთვის ხელსაყრელი და სახეიროა. მტრების ასეთ თავგასულობას ვერ შეურიგდება შეგნებული დემოკრატია და მათ აღვირ წახსნილობას ყოველ მხრივ შეებრძოლება. ხალხი დ შეგნებული დემოკრატია ტყიბულის მუშებს ყელს არ გამოაჭრევინებს, ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებას არ დაანგრევინებს. მას შესწევს იმდენი ძალა დ უნარი, რომ თავი გაინთავისუფლოს ტყიბულის პრივილეგიურ — არისტოკრატიულ მუშებისაგან და ქვა-ნახშირის წარმოება ჩვეულებრივ პირობებში ჩააყენოს. ტყიბულის მუშებს ჩვენი ცხოვრების სასიკვდილო განაჩენს ვერ გამოვატანინებთ, წარმოებაში შეგნებული და შრომის მოყვარე ხალხი ჩადგება. ეს უნდა იცოდნენ ტყიბულის მუშებმა და ნურას უკაცრავად, თუ მათ კაპრიზებს არ შევწირავთ მთელი ხალხის ფიზიკურ და კულტურულ არსებობას!“

სამართლიანია გაზეთის გულისწყრომა ისე, როგორც სამართლიანია ამავე საკითხის გამო ტყიბულელ მუშებთა წინააღმდეგ რკინისგზელთა ყრილობის მიერ გამოტანილი სასტიკი პროტესტი.

*
* *

მაშინ, როდესაც ის გაზეთები, გამუდმებით რომ საქართველოს დამოუკიდებლობას ებრძვიან მალულათ თუ აშკარათ, არაფერს სწერენ რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაზე, სხვა გაზეთები და მათ შორის „სახალხო საქმე“-ც ეხება ამ აქტს და სწერს:

„საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება უდიდესი ფაქტია ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის გამოსარკვევად. რუსეთმა ეს აქტი ჩაიდანა უეჭველია გერმანიის რჩევით და ძალდატანებით.

ჩვენთვის, როგორც სახელმწიფოსათვის, ერთი დიდი დაბრკოლება მომავლის გზაზე უკვე ძლეულია. აქამდე საქართველოს ყოველ მხრით მტრები ეხვია რომელთაც ერთნაირი ფორმალური უფლება ჰქონდათ ჩვენს საქმეში ჩარევისა. ამიტომ იყო რომ რუსეთიდან, რომელიც ჩვენს დამოუკიდებლობას საცინლად იგდებდა და აქამდე ფეხით სთელავდა თავის მიერ აღიარებულ ერთა თვით გამორკვევის პრინციპს—გადმოდიან საქართველოს ტერიტორიაზე ბრბოები და სხვა და სხვა ჯურის ბნელი აგენტები, რომელნიც აჯანყებებს აწყობდნენ ჩვენში ამიერიდან, ჩვენ უფლება გვექნება, როგორც მეზობლის მიერ აღიარებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოს — ყოველგვარ ამისთანა შემთხვევის გამო რუსის მთავრობას პასუხი მოვსთხოვოთ და ბრბოების ალაგმვა დავავალოთ. რასაკვირველია, თავისთავად ეს გარემოება არ გვიხსნის იმ ელემენტების მოქმედებისაგან, რომელიც აქ დაბანაკებულან და ხაზიზღარ აგიტაციას ეწევიან მთავრობის და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. რუსის მოხელეობა ვერასოდეს შეურიგდება თბილი ადგილების დაკარგვას და მისთვის ყოველთვის სანატრელი იქნება ჩვენში რუსის დერჟიმორდის დაბრუნება. მაგრამ საქართველო, ვიმეორებთ, დღეს გამორკვეულად შედის საერთაშორისო ოჯახში და ჰხდება მისი სრულუფლებიანი წევრი“.

სრული სიმართლეა! ოღონდაც, რომ თფილ-ადგილებ დაკარგული ჩინოვნიკები მაინც ვერ შეურიგდებიან ჩვენს დამოუკიდებლობას და კბილთა ღრჭენით განაგრძობენ მის წინააღმდეგ ბრძოლას. მაგრამ ქართველი დემოკრატია შესძლებს მას სათანადო პასუხი გასცეს და შესაფერი ბინა მიუჩინოს პირშავთ.

გაზეთი „შრომა“-ც ეხებ დამოუკიდებლობის საკითხს და სწერს:

„რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას უეჭველია დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის გასამტკიცებლად იმ შემთხვევაშიც კი თუ ბოლშევიკური მთავრობა დამხობილ იქნა.

საქართველოს რესპუბლიკამ ახლო მახლო რესპუბლიკებთან ყველგან კავშირი გააბა. რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება მისცემს ჩვენს რესპუბლიკას საშუალებას კავშირი აღადგინოს იმ ოლქებთანაც, სადაც ჯერ-კიდევ ბოლშევიკებს ძალა-უფლება შერჩენიათ. დამოუკიდებლობის აღიარებამ გონს უნდა მოიყვანოს აგრეთვე ჩვენებური ბოლშევიკებიც, რაც მეტად ხელს შეუწყობს ანარქიის ჩაქრობას და ჩვენში დემოკრატიული რეჟიმის განმტკიცებას“.

რაც შეეხება ადგილობრივ ბალშევიკების ჭკუაზე მოყვანას ეს მხოლოდ სურვილია „შრომისა“. დაჭკვიანდებიან კი ადგილობრივი ბოლშევიკები!?

*
* *

ჩვენში მოსავლის შეკრეფას უკვე შეუდგენ. დიდ იმედებს იძლეოდა წლევანდელი მოსავალი და გაგვიმართლდა კიდეც. მაგრამ მოსავალს მოხმარა და მიზანშეწონილათ გამოყენება უნდა. ფაქტიურათ კი მას სპეკულიანტები და მძარცველები ეპატრონებიან. ამ ფრიად სამწუხარო მოვლენას ყურადღებას აქცევს ქუთათური გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ და სწერს:

„სოფლათ უკვე გაჩნდენ სპეკულიანტები. ისინი შეუდგენ სიმინდისა და საერთოთ ხორბლეულობის შეყიდვას. სოფლის მუშას ჯერ მოსავალი არ მოუწევია, მარა ჩარჩი მაინც მიდის მასთან და წინდაწინ იბევებს. ამას შედეგათ ის მოყვება, რომ სპეკულიანტები ხელში ჩაიგდებენ იმ ზედმეტ მოსავალს, რომელიც სოფელს არ უნდა და მერმე მის ფასებს ხელოვნურათ ასწევენ. ესეც რომ არ იყოს, სპეკულიანტების სოფელში მისვლა თავისთავათ აძვირებს ხორბალს, იგი ფასის მიცემას არ ერიდება, რადგან იცის, რომ როგორ ძვირათაც არ უნდა იყიდოს, მაინც მოგებით გაყიდის. სოფელიც მას აძვირებს, რადგან ხედავს რომ ძვირათ მყიდველი ყავს.

რომ ყოველივე ეს თავიდან აცილებული იქნეს ამისათვის, საჭიროა, მთავრობამ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ხალხიდან მოიკრიფება, რა სახელითაც უნდა იყოს, უნდა შედიოდეს საზოგადო ხაზინაში. ამ თანხის ხარჯვა კი შეიძლება მხოლოდ წინდაწინ დამტკიცებულ სმეტით. ამიტომ საფინანსო კომისიას იმედი აქვს, და შემდეგაც მთავრობა მიაქცევს ყურადღებას, რომ ყოველივე ამისთანა სპეციალური თანხები შემოტანილი იქნებიან საზოგადო თანხაში. თვითონ კანონ-პროექტი ასეთი არის (კითხულობს კანონ-პროექტს).

შემდეგ ნუსხა არის აღნიშნული, რომელსაც წავიკითხავ.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? არა... გთხოვთ წაიკითხოთ მუხლობრივ.

იას. ლორთქიფანიძე (კითხულობს კანონ-პროექტის პირველ მუხლს) შემდეგ ნუსხა არის აღნიშნული, რომელსაც წავიკითხავ შემდეგ.

თავმჯდომარე. ვინ არის ამის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ მეორე მუხლი.

იას. ლორთქიფანიძე. (კითხულობს მე-2-ე მუხლს).

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

იას. ლორთქიფანიძე. (კითხულობს შენიშვნას).

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააალმდეგი? მიღებულია.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი საერთოდ კანონ-პროექტისა? არავინ. მაშასადამე კანონ-პროექტი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ ნუსხა.

იას. ლორთქიფანიძე. (კითხულობს) ა) მსხვილი რქოსანი ნახირი. ჩრდილო კავკასიიდან მორეკილი მალოროსიულ ჯიშისა ხარი—325მან., ფური 250 მანეთი. ჰასაკით ერთი წლიდან 2 წლამდე—125 მან.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი მიღებულია.

იას. ლორთქიფანიძე. ჯოგი მორეკილი სპარსეთსა და ოსმალეთიდან, აგრეთვე ადგილობრივი ჯიშისა ხარი 200 მან. ფური 150, ჰასაკით ერთი წლიდან 2 წლამდე 75 მ.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

იას. ლორთქიფანიძე. ადგილობრივი ბარისა და მთის გაუმჯობესებული ჯიშის ხარი 300 მ. ფური 200 მ. ჰასაკით ერთიდან 2 წლამდე 100 მ. ხბოები ნახევარ წლამდე 70.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი.

იას. ლორთქიფანიძე. ჯოგი კამეჩისა ხარი—240 მანეთი ფური 180 მ. ჰასაკით ათი წლიდან 2 წლამდე 100 მან. ხბოები ნახევარ წლამდე 70 მ.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

იას. ლორთქიფანიძე. ღორი ჰასაკით სამი თვის ზევით 160 მანეთი.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

იას. ლორთქიფანიძე. ჰასაკით ნახევარ წლის ზევით ცხვარი და თხა 70 მანეთი.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

იას. ლორთქიფანიძე. ბატკნები და ციკნები ნახევარ წლამდე 40 მანეთი.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი მიღებულია.

ალ. ლორთქიფანიძე. ახლა წაგიკითხავთ დაწესებულ გადასახადს. ჩრდილო კავკასიიდან მორეკილ მსხვილ რქოსან ხვადაგისათვის ხარზე 6 მ. და 10 შაური. ფუთზე 5 მანეთი. ნახევარ წლისაზე 2 მ. და 10 შაური.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

იას. ლორთქიფანიძე. ოსმალეთიდან და სპარსეთიდან და აგრეთვე ადგილობრივი ჯგუფებისათვის ხარზე—4 მან. ფურზე, ნახევარ წლისაზე 1 მ. და 10 შაური, ხბოებზე 70 მანეთი.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

იას. ლორთქიფანიძე. გაუმჯობესებულ ადგილობრივ ჯამისათვის ხარზე 6 მ. ფურზე 4 მ. ნახევარ წლისაზე 2 მ. 10 შ.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

იას. ლორთქიფანიძე. კამეჩების ჯოგისათვის ხარზე 4 მ. და 4 აბაზი, ფურზე 3 მანეთი და 3 აბაზი, ნახევარ წლისაზე 2 მანეთი, ხბოებზე 14 შაური. ღორებისათვის 3 მ. და 1 აბაზი, ცხვრებისა და თხების ნახევარ წლის ზევით 14 შაური, ციკნებზე და ბატკნებზე ნახევარ წლამდე 2 აბაზი.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

---

## † არსენ ანტონისძე მამულაიშვილი.

18 ენკენისთვეს გარდაიცვალა ეროვნული საბჭოს წევრი მასწავლებელი, არსენ მამულაიშვილი. საზოგადო მოღვაწე და მწერალი განსვენებული რწმენით ს.-დ. (მენშევიკი) იყო. მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა პარტიულ მუშაობაში. ცნობილი იყო მწერლობაში „ლალიონის“ ფსევდონიმით. წ. კ. გ. ს. მთავარმა გამგეობამ ეროვნული საბჭოს ს. დ. ფრაქციას სურვილის თანახმად დაადგინა განსვენებულის ნეშტი დაკრძალულ იქნას ქართველთ მოღვაწეთა სავანეში.

დაკრძალვა დანიშნულია კვირას 22 ამ თვეს.

---

## ქალაქთა წარმომადგენელთა ყრილობა.

ყრილობის გადაწყვეტილებით კავშირში შესული ქალაქი ვალდებულთა გადაიხადოს ნახევარი პროცენტი თავის წლიურ ბიუჯეტიდან ქალაქთა კავშირის სასარგებლოთ. წინათ ამიერ-კავკასიის ქალაქები ერთ-მეოთხედ პროც. იხდიდენ მოსკოვში არსებულ მთელ რუსეთის ქალაქების კავშირის სასარგებლოთ. მეოთხედი პროცენტი-კი ამიერ-კავკასიის ქალაქთა კავშირისათვის.

დ. კალანდარაშვილი აკეთებს მოხსენებას მომავალ ქ. კავშირის ორგანიზაციის შესახებ. პოლიტიკურმა მდგომარეობამ გაყო ამიერ-კავკასია სამ რესპუბლიკათ. დაირღვა მთლიანი ამიერ-კავკასია—ერთი რესპუბლიკა მოსწყდა მეორეს. ფაქტიურათ არსებობს საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი. მხოლოდ ფირმას ვატარებთ მთლიან ამიერ-კავკასიისას. რაც ფაქტიურათ არსებობს, უნდა ჩამოვაყალიბოთ იურიდიულ ფორმებში. რაც შეეხება კავშირის გაეროვნებას, უნდა ვსთქვათ, რომ ნაციონალიზაციის გატარება ეხლა შეუძლებელია კავშირში. ჩვენ გვესაჭიროება პრაქტიკული მომუშავენი, ასეთი-კი ჩვენ ქართველები საკმაოთ არ მოგვეძებნებიან და არსებული საქმის აპარატს ვერ მოვშლით დაუყონებლივი ნაციონალიზაციის გულისათვის.

გოფმანი. (ს. რ.) აღნიშნავს, რომ თუ დღეს ყრილობაში მონაწილეობას არ იღებენ ბაქოს და ერევნის წარმომადგენელნი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ კავშირში დარჩენა არ სურთ. მათი ჩამოსვლა შეუძლებელი არის საერთო მდგომარეობის გამო. რათ გინდათ დაარღვიოთ ის, რის აშენებასაც მომავალში უნდა შეუდგეთ. წინადადებას იძლევა არ დაარსდეს საქართველოს რესპუბლიკის კავშირი, არამედ—სექცია დაარსდეს საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებისასო.

მ. რუსია. (ს. დ.) ჩვენ ფაქტიურად დავშორდით ადერბეიჯენსა და სომხეთს. სამი მეოთხედი წელია, რაც ჩვენ ერთმანეთს რადიოთი თუ ველაპარაკებით. ისე მოწყვეტილი ვართ და თუ ჩვენ ასე განვაგრძობთ, ეს დემოკრატიის ინტერესების შელახვა იქნება. დემოკრატიას არ შეუძლიან მარტო რადიოთი კავშირის დაჭერა და თუ ჩვენ ასეთ მდგომარეობაში ვიქნებით, მაშინ ჩვენ თითონ დემოკრატიასთან მარტო რადიოთ დამოკიდებულება გვექნება, უკანასკნელი ჩვენ ჩამოგვშორდება. რა საჭიროებას შეადგენს სექციის არსებობა. ეს ხომ ცარიელ ქაღალდზე იქნება. ამ ომმა ინტერნაციონალი დაარღვია. ეს ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო მოხდა, ეს საერთო პოლიტიკურმა პირობებმა გამოიწვიეს, ჩვენ გვეუბნებიან: მოიცადეთო. როდემდის უნდა იცადოს დემოკრატიამ. თუ შესაძლებელი გახდება კავშირის დაჭერა სხვა რესპუბლიკის ქალაქებთან და თუ ჩვენ მაშინ უკან დავიხიოთ, მაშინ გვისაყვედურეთ.

ხუნდაძე (ს. ფ.) ამიერ-კავკასიის ქალაქთა კავშირი არ არსებობს ფაქტიურათ. აქ მარტო საქართველოს ქალაქთა წარმომადგენელთა ყრილობა არის, თუ არ არსებობს სახელმწიფოს შორის რაიმე კავშირი, თუ ისინი ერთმანეთს მოწყვეტილნი არიან, მაშინ განა შეიძლება ქალაქთა კავშირი ამ რესპუბლიკებისა. ეს ხომ ეწინააღმდეგება პრინციპს სახელმწიფო უფლებისას.

იანოვიჩი. იურიდიულათ მთელი ქონება ეკუთვნის ყველა ქალაქებს. როგორ უნდა მოიქცეთ და რა უნდა უთხრათ მათ, ვისაც არ შეუძლია მოვიდეს.

ნ. ელიავა. ზოგიერთები აღნიშნავენ, რომ ფორმალურად არ გვაქვს უფლება ეს კითხვა გავარჩიოთ ამ კრებაზედო. დღიურ წეს-რიგში დასმულია ქალაქთა კავშირის მომავალი არსებობა, ამ ყრილობას აქვს ფორმალურათ უფლება გადასწყვიტოს ეს კითხვა. რაც შეეხება კავშირის ქონებას, უნდა მოგახსენოთ რომ მთელი ქონება სამხედრო ქალაქთა კავშირის კუთვნილებაა. ყოველივე ქონება ამ კავშირისა სახელმწიფომ თავის კუთვნილად გამოაცხადა. მაგალ. მთავრობის დადგენილებით კავშირს არა აქვს უფლება ამ ქონების სხვაგან გადატანის, გაყიდვის და სხვა ქალაქთა კავშირს სხვა ქონება არ მოეძებნება. არსებობა ამიერ-კავკასიის ქალაქთა კავშირისა ეს ფაქტია. თუ დღეს აქ სხედან სომხები, ესენი საქართველოს ქალაქთა წარმომადგენელნი არიან. სომხეთის და ადერბეიჯანის ქალაქები მოკლებულნი არიან სხვა და სხვა მიზეზების გამო ჩვენთან მუშაობას.

კამათი შესწყდა. უკანასკნელი სიტყვა ეძლევა მომხსენებელს, რომელიც იცავს თავის მოხსენებაში წამოყენებულ დებულებებს, კრებას ორი რეზოლიუცია წარუდგინეს ესერებისა და მომხსენებლისა. პირველი რეზოლიუცია მოითხოვდა საქ. ქალ. სექციის დაარსებას. გავიდა მეორე შემდეგი რეზოლიუცია მ. რუსიას დამატებით: „ვიღებთ-რა მხედველობაში, რომ პოლიტიკურმა პირობებმა გაყვეს ამიერ-კავკასია სამ რესპუბლიკათ და შეუძლებელი გახდა, რომ სხვა რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენელთ მიეღოთ მონაწილეობა ყრილობაში, არსებობა ქალაქთა კავშირისა ფაქტიურად დაირღვა, მხოლოდ სახელი, ფირმა რჩება ამიერ-კავკასიისა, რაც არა სასურველია და ხელს უშლის საქმის ნორმალურ მსვლელობას. ერთად ერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან, ეს დაარსებაა ყოველი რესპუბლიკის ფარგლებში დამოუკიდებელ ქალაქთა კავშირებისა. ამის გამო ყრილობა აცხადებს მთავარ კომიტეტს გაუქმებულად და ყრილობას დახურულად“.

იმავე საღამოს გაიხსნა დამფუძნებელი კრება საქართველოს ქალაქთა კავშირისა, რომელზედაც მოხდა არჩევნები მთავარ კომიტეტისა, სარევიზიო და სარედაქციო კომისიებისა.

---

# დეპეშები.

## ომი.

ბერლინი, სექტ. 19. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი კრონპრინც რუპრეხტის და ბაინის ლაშქარი. ბიკსხოოტეს ჩრდილოეთით ჩვენ გავწმინდეთ სანგრების ის ნაწილი, რომელიც 11 სექტ. ბრძოლაში დავუტოვეთ და წამოვიყვანეთ ტყვეთ 136 ბელგიელი. იპრსა და ლაბცსეს შუა მზვერავთა გაცხოველებული მოქმედებაა. არმანტიერის ჩრდილოეთით და ლაბასის თხრილის სამხრეთით მოწინააღმდეგეს ნაწილობრივი იერიშები მოვიგერეთ. მევრას და გავრინკურტის ნაწილში ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. ადგილობრივ იერიშების დროს ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები. გავრინკურტის ტყეებიდან სომამდე, ზეეგფრიდის ფრონტის წინ ინგლისელებმა შემოუტიეს ჩვენს პოზიციებს, მათი იერიში გუზოკურტის ჩრდილოეთით ამ დაბის წინააღმდეგ მიმართული უშედეგოთ დასრულდა. გერმანული მსროლელთა პოლკი გუზოკორტს მედგრათ იცავდა. გუზოკორტსა და ხარჟიკურტს შუა ჩვენ უკუ ვავდეთ ინგლისელები, რომელთაც რამოდენჯერმე შემოგვიტიეს ძლიერი. ძალებით და ტანკების დახმარებით, ენეგი და რონსუა ხშირ ხელიდან ხელში გადასვლის შემდეგ მათ დარჩათ. საღამოს მთელ ფრონტზე განიმეორეს იერიშები, მაგრამ ყველგან უკუვაგდეთ. ხანჟიკურტსა და პონტრას შუა ავსტრალიელები შემოიჭრენ ჩვენს პოზიციებზე, დიდი ცხარე ბრძოლის შემდეგ ჩვენ შევძელით ბელიკურტ-ბელენგლიზის დასავლეთით ხანჟიკურტ-პენტრეზე შემოჭრილი მტრის შეჩერება. ამინიონისა და სომმას შუა ინგლისელები და ფრანგები ერთად გვიტევდენ. ინგლისელებმა დიდი ძალები მოუმატეს და შეეცადენ გაერღვიათ სენკვენტინის ხაზთან და მის ჩრდილოეთით. საღამომდე გაცხელებული ომი მოწინააღმდეგეს დამარცხებით დასრულდა. სომმას სამხრეთით ფრანგთა ნაწილობრივი შეტაკება უშედეგო დარჩა.

გერმანიის კრონპრინცის ლაშქარი. ელეტსა და ენს შუა შუადღის შემდეგ საარტილერიო ბრძოლამ სასტიკი ხასიათი მიიღო. ლაფო-შავილიონის გზის ორივე მხარეზე მოტანილი ძლიერი იერიშიბი მოვიგერეთ.

გალვიცის ლაშქარი. კოტ-ლორენთან ბრძოლა გაცხოველდა. მანხეუტლზე თავდასხმის დროს ტყვეები წავიყვანეთ.

ბერლინი, სექტ. 19. საღამოს ცნობა. ტყე გავრინკურტსა და სომმას შუა ინგლისელთა ნაწილობრივი უშედეგო იერიშებია.

ბერლინი. სექტ. 18. ჩვენმა წყალქვეშა ნავებმა ჩაძირეს ინგლისელთა 29,000 ტონიანი გემები

## უცხოეთი.

ნორვეგიის პრესა, ავსტრიის ზავის ნოტის შესახებ აღნიშნავს, რომ ნეიტრალური სახელმწიფოები უსათუოდ მხარს დაუჭერენ ამ წინადადებას. შვეციის პრესა ამბობს, რომ ის პირნი, რომელთაც შეთანხმების სახელმწიფოებში გამოიწვიეს ომის სურვილი, ავსტრიის წინადადებას თვლიან შინაგან სისუსტის დამამტკიცებლად. დანიის პრესა ამბობს, რომ ბურიანის მეთოდი ზავისთვის ერთად-ერთი საშუალებაა. პოლონეთის პრესა ამბობს, რომ ეს ნოტა ზავის მომასწავებელია. ამ ნოტის პასუხი უნდა იყოს გარკვეული და ნათელი. შვეიცარიის პრესის აზრით, ზავი დამოკიდებულია ვილსონზე. იტალიის გაზეთები ფრთხილად მსჯელობენ ზავის წინადადებაზე, რომელსაც ფრიად სერიოზულად ცნობენ. ინგლისელთა პრესა აცხადებს, რომ არაფერი საბაბი არ არის იმისი, რომ ზავის წინადადების უარყოფა გაამართლოს. ინგლისში ფიქრობენ, რომ ავსტრიის საზავო წინადადებას მხარს უჭერს გერმანია. საფრანგეთის ფურცლები უგულოდ მსჯელობენ ავსტრიის საზავო წინადადებაზე. ამერიკელები უარჰყოფენ ზავის წინადადებას და ომის მომხრე არიან. ვილსონი განმარტავს, რომ ამერიკას უკვე აქვს შემუშავებული პირობები, საზავო წინადადებაზე მსჯელობის შესახებ. სხვა წინადადებებს ის არ სცნობს.

ლონდონი, სექტ. 17. 16 გაიხსნა მუშათა კავშირის კრება. თავმჯდომარეობს გენდერსონი.

ფრანგ-ბელგეთთა პროფესიანალურ კავშირთა წარმომადგენელნი არიან: ხიშმან ლოხგეტი, ტომას ჯელინგაუზი და მერსენიე, ამერიკის წარმომადგენლათ კი გომიერზიდ ფრეიბურგი. იტალიის ოსტრო-ბრიტანეთის გოსტლინი და გურნინი.

ბუქურეშტი, დაიწყო არჩევნები ბესარაბიის დამფუძნებელ კრებისთვისა.

კიევი. კიევის საგუბერნიო სამმართველოს კიევის სასამართლო პალატის პროკურორიდან მოუვიდა ცნობა, რომლითაც ის ატყობინებს სამმართველოს, რომ შეგროვილ ცნობებით, სამმართველოს თავმჯდომარე პეტლიურა და წევრი ხმერიუი დატუსაღებული არიან ლუკიანოვის სატუსაღოში და გერმანელთა განკარგულებაში არიან. რადგანაც უკრაინის პროკურორს უფლება არ აქვს ჩიერიოს გერმანელთა საქმეებში, შეუძლებელია პეტლიურის და ხიმერიუის გასათავისუფლებლად ზომების მიღება.

ოფიციალურად იტყობინებიან, რომ სიმფეროპოლში მოხდა თათბირი ყირიმის მთავრობის და კიევიდან ჩამოსულ გნრმანიის დელეგაციის წარმომადგენლებისა მოკლე ხანში დაიწყება მოლაპარაკება ყირიმის და უკრაინის მთავრობის შორის.

ბერლინი, სექტ. 17. „ორდაიტშ ალგემაინე-ცაიტუნგ“-მა მოათავსა 15 სექტემბერს წერილი, ავსტრიის მიერ ზავის წინადადების შესახებ, რომელშიაც ამბობს: ავსტრიის მთავრობის ნოტა მოკავშირეთა სახელმწიფოებისადმი არის ზედმეტი საბუთი არა ერთხელ გამოთქმული გულწრფელი სურვილი გერმანიის ხალხის მიერ ზავისადმი. ცხადია, რომ მოკავშირეთა მიღებულ ზომებს არამც თუ გერმანია სრული თანხმობით ხვდება, არამედ სრულიად უთანხმდება გერმანიის სულისკვეთებას, გერმანია ეწეოდა ბრძოლას საერთო კეთილდღეობისათვის მოკავშირე სახელმწიფო და ხალხისათვის.

თუ ჩვენ კიდევ ეჭვის თვალით ვუყურებთ ზავის უახლოეს შედეგებს, ეს მხოლოდ იმის მიზეზით, რომ ჩვენ არა ერთხელ მიგვილია ზომები შეგვეწყვიტა ევროპის დამაქცევარი ომი საზავო შეთანხმებით, მაგრამ ყოველთვის უნაყოფოთ ჩაუვლია.

პოლიტიკურ წრეებში ამტკიცებენ, რომ გრაფ ბურიანს ყავდა გაფრთხილებული გამოსვლის წინ ავსტრიის მოკავშირენი, და თუ მან იდვა თავზე ინიციატივა მოლაპარაკებისა ეს მისთვის, რომ უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ ოთხთა შეთანხმების სახელმწიფონი წინ არ აღუდგებოდნენ ასეთ სურვილს, მტრულ მოკავშირეთა, სახელმწიფოების მიერ კონფერენციის მოწვევას. და თუ გამოყვთ დასკვნა ვითომდა ავსტრიის მოქმედება არის სეპარატიული ხასიათისო, ეს სრული შეცდომაა, რადგან ავსტრო-ჰუნგრეთი შეკავშირებულია გერმანიასთან და მის მოკავშირე სახელმწიფოებთან ყოველგვარ მოქმედების პასუხისმგებლობას, სრულიად იყოფს. ამისათვის ყოველი შესაძლებლობა ავსტრო-ჰუნგრეთის მიერ საკითხის კერძოდ გადაწყვეტისა მოსპობილია.

## რუსეთი.

მოსკოვი, სექტ. 19. შავრაზმელთა აუარებელ სხდომებზე ხელმძღვანელის როლს თამაშობს კარგად ცნობილი მონარქისტი სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრი—ზამისლოვსკი. ზამისლოვსკის გარდა დიდი გავლენით სარგებლობს სტატს-მდივანი კრიჟანოვსკი და სახელმწიფო საბჭოს ყოფილი წევრი გურკო.

„კიევსკაია მისლი“ იტყობინება, რომ უკრაინის მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა პროტესტი გამოუცხადოს ბოლშევიკების მოქმედებას რუსეთში. მინისტრთა საბჭომ დაადგინა პროტესტის ტექსტი ყველა სახელმწიფოებს დეპეშით შეატყობინოს. მინისტრთა საბჭომ სექტემბრის 17 განიხილა ავსტრიის ნოტა და გამოიტანა დასკვნა, რომ უკრაინამ თავის მხრივ უნდა წარუდგინოს ნოტა ყველა მეომარ და ნეიტრალურ სახელმწიფოებს. ამ ნოტით ის სრულიად ემხრობა ავსტრიის გამოსვლას.

როგორც „კიევსკაია მისლი“ სწერს ივლისში დონის ოლქიდან წამოუღიათ უკრაინაში და ყირიმში 25,000,000 მან. საქონელი.

ოდესა. მიუხედავათ ძლიერი აგიტაციისა ასტრახანის რაზმში მოხალისები იშვიათად ეწერებიან ასტრახანის გუბერნიაში მოხალისეთა რაზმში სულ ჩაეწერა 68 კაცი.

— მოსკოვიდან ცნობაა, რომ არხანგელსკის ბოლშევიკები დამარცხდენ და თავზარ დაცემულნი გარბიან, აფიცრები ემხრობიან ინგლისელებს

„იზვესტიე“ გადმოგვცემს „ტაშკენტის გაზეთის“ სიტყვით რომ უწინ მდიდარი ხივა დღეს სრულებით გაძარცულია ყაჩაღთა ბრბოების მიერ. დიდი რიცხვი გადმოხვეწილთა იმყოფება ალექსანდროვსკში.

— თურქესტანის შესახებ გადმოგვცემენ, რომ ქალაქი მერვი დაკავებულია საბჭოს ჯარის მიერ. სამარკანდის ახლოს იმყოფება მთავარი ბანაკი ინგლისელებისა და თეთრი გვარდიისა და იქვე არის გაჩაღებული ბრძოლა. შირვანის ახლოს იმყოფება 1000 ინგლისელი, უმეტეს ნაწილს შეადგენს ინდოელი სიპაები რომელიც მოყვანილნი არიან სპარსეთით და ავლასისტანით. ჯარი მზათ არის სალაშქროთ.

თურქესტანში მთელი ხალხი საბჭოს მთავრობას ემხრობა, ბუხარის ემირიც კი მათი მომხრეა, მასზე ბოლშევიკების კომისარს დიდი გავლენა აქვს. ემირი იძულებულია შეუთანხმდეს მათ, რადგან ზეი მას არ ემორჩილება.

# ახალი ამბები.

## მთავრობაში.

○ შედგენილია დებულება სახელმწიფო კონტროლისა. ამ დებულებას შეიტანებენ ეროვნულ საბჭოში დასამტკიცებლათ.

○ შედგენილია წესდება სახელმწიფო კონტროლის რევიზიის შესახებ.

○ საქართველოს მთავრობას ბერლინიდან ა. ი. ჩხენკელმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გამოუგზავნა. 6 სექტემბერს რუსეთმა და გერმანიამ ხელ შეკრულება დაამტკიცეს, რომლის ძალით ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობა მომხდარი ფაქტია. გილოცავთ. მე ვცდილობ, რომ ასეთი ბედი ხვდეს ჩვენს მეზობლებსაც, მაგრამ ამაოთ.

○ საქართველოში ნავთის და ნავთის ყველა ნაწარმოების შემოტანა ევალება გზათა მინისტრს, რომელსაც მთავრობამ ვაჭრობა მრეწველობის მინისტრთან და სახელმწიფო კონტროლიორთან შეთანხმებით, წინადადება მისცა მოაწყოს ზემოხსენებულ მასალის ჩამოტანა და განაწილება და ტარიფის მიხედვით, პირობით შეეკრას აძერბეიჯანის რესპუბლიკას. ვაჭრობის სამინისტრომ უნდა გამოარკვიოს პუნქტები და საბარგო მატარებლების რაოდენობა. მთავრობის რწმუნებული პირნი ამ დღეებში წავლენ ბაქოში ნავთის საყიდლათ. ნავთი სადენის მაგისტრალი ნოტანებიდან საქართველოს მთელ რკინის გზაზე და აძერბეიჯანის ტერიტორიაზეც კიურდამირამდის გასწორებულია, კიურდამირიდან ბაქოსკენ საჩქაროთ ასწორებენ.

○ ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს მოახდინოს განკარგულება, რათა შინაგან საქმეთა სამინისტრო ყველა იმ საკითხებზე რომელიც მრეწველობას და მის მოქმედებას შეეხება, ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს შეეკითხოს ხოლმე.

○ შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიაში მუშავდება შემდეგი კანონპროექტები: 1) ყოველ სოფლის საზოგადოებას ექნება საკუთარი საფოსტო და სატელეგრაფო კონტორები, განსაკუთრებით კი ტელეფონები. 2) ფართო საექიმო დახმარება რომ ყოველ სოფლის საზოგადოებაში დაარსდეს სამკურნელოები. 3) გზების გაყვანა და მისი მოვლა პატრონობა. 4) სამკითხველოების და წიგნთსაცავების მოწყობა ყველა სოფლის საზოგადოებაში. აღნიშნულ კანონ პროექტების დასამუშავებლათ არჩეულია ცალკე კომისიები, რომელთა მუშაობის დასრულების შემდეგ კანონ პროექტებს შეიტანებენ ეროვნულ საბჭოში განსახილველათ.

○ შრომის სამინისტრომ დაამუშავა კანონ-პროექტი სამუშაო ხელშეკრულების შესახებ. ამ კანონ-პროექტმა უნდა გასწიოს მაგივრობა იმ დეკრეტისა რომელიც აქვს გამოცემული ამიერ კავკასიის ყოფილ კომისარიატს მუშების მიღება-დათხოვნის შესახებ. ეს პროექტი დაეგზავნა სხვა და სხვა ორგანიზაციებსა და პირებს წინასწარ გასაცნობათ, რის შემდეგ სამინისტროში შესდგება თათბირი მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებთა, მრეწველთა წარმომადგენლებთა და მცოდნე პირთაგან. ეს თათბირი საბოლოოდ განიხილავს ამ კანონ-პროექტს და მთავრობაში შეიტანს დასამტკიცებლათ.

○ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს შემდეგი მოლოცვის დეპეშა მოუვიდა: „ამიერ კავკასიის კოოპერატივების რწმუნებულთა მესამე მორიგი ყრილობა უძღვნის გულრწფელ სალამს ნორჩ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას, უსურვებს მას განმტკიცებას, უცხადებს სრულ ნდობას და აღუთქვამს ენერგიულ დახმარებას ყველა მის ფართე მშრომელთა მასის საკეთილდღეოთ გადადგმულ ნაბიჯებს და დარწმუნებულია, რომ კოოპერატიული ორგანიზაციები მიიპყრობს მის სათანადო ყურადღებასაც“.

○ სიღემორკაციო ხაზის გასაყვანათ ს. აწყურში გაიგზავნა საგანგებო კომისია.

○ სამხედრო სასამართლოს და საბრალმდებლო ნაწილის მოსაწყობათ გაიგზავნა განსაკუთრებული კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან სამხედრო, ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროების წარმომადგენლები.

○ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლათ აძერბეიჯანის მთავრობასთან დანიშნეს ნ. ი. ქარცივაძე.

○ სამხედრო მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე საქართველოში ცხენის საუკეთესო ჯიშის მოშენების საქმის რაციონალურ ნიადაგზე დაყენების შესახებ.

## სახალხო განათლება.

○ ალექსანდრეს სახელობის საოსტატო ინსტიტუტის ლიკვიდაციის საქმე მიენდო სასალხო განათლების სამინისტროს დირექტორს ბერიძეს.

○ ნუსხა ყოველ კვირეულ გაკვეთილების მიცემისა სახელმწიფო გიმნაზიებისთვის შედგენილი, ვრცელდება კერძო გიმნაზიებზედაც.

## ერობა.

○ გორში საერობო არჩევნები დაიწყო 15 ენკენისთვეს და დამთავრდება ენკენისთვის 23. არჩევნები დაიწყო აგრეთვე სიღნაღის მაზრაში და ბელოგორის რაიონში. ტყიბულის რაიონში არჩევნები დანიშნულია ენკენისთვის 29-სთვის.

## ხელოვნება.

○ კვირას, 22 სექტემბერს ქართულ კლუბის საზაფხულო თეატრში დანიშნულია ჩვენი ნიჭიერ კომპოზიტორის ნ. პ. სულხანიშვილის ეროვნული კონცერტი 3 განყოფილებათ. პირველათ შეასრულებენ ჰიმნთა შეჯიბრებაზე მოწონებულ ჰიმნს, ლოცვა სიმფონიურ ორკესტრით.

## ცემენტი.

○ თფილისის ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირში შემოვიდა წინადადება ცემენტის ქარხნის დაარსების შესახებ საქართველოში. კავშირის გამოანგარიშებით გასულ წელს საქართველოში 700 ათასი ფ. ცემენტი შემოსულა.

## ადმინისტაცია.

○ საგანგებო რაზმა დესიმონოვის ქუჩაზე რუდაკოვის ბინაზე აღმოაჩინა 4 ათას ადლზე მეტი ბრეზენტის მატერია. რაზმის თანამშრომელს საქონლის პატრონმა გადასცა ათიათასი მან. ქრთამად მაგრამ მან ეს ფული შინაგან საქმეთა სამინისტროს წარუდგინა.

— ამავე რაზმა აღმოაჩინა 20 ფუთი „ბოდლის“ ფირმის ხელის საპონი.

○ შეიპყრეს მოლარე საქართ. რკინის გზისა ხარაბაძე, რომელსაც ბრალი ედება ფულების ყალბი მოწმობებით გაცემაზე 70 ათას მ.

— შეუდგენ რკინის გზის მთავარ კასის რევიზიას. რევიზიას აწარმოებს სახელმწიფო კონტროლიორი.

○ არკადის ქუჩაზე, სახლი № 3, ჯიბლაძის ბინაზე აღმოაჩინეს ფულის საჭრელი მანქანა.

○ შინაგან სხქმეთა მინისტრის განკარგულებით საგანგებო რაზმმა შეიპყრა ტფ. საგუბერნიო ხაზინის მსახურნი ლუკა ანანიაშვილი, გრიგოლ მაზიბოვი, მიხეილ ანდრონიკაშვილი, გიორგი კევსიევი, ივანე კლიმოვი და რომუალდ ხალეცკი და მეტეხის ციხეში დააპატიმრა. ყველა ზემოაღნიშნულ პირთ ბრალი ედებათ ჩეკების და ასიგნოვკების განაღდების საქმეში ბოროტ-მოქმედების ჩადენა.

○ მთავრობის თავმჯდომარის წინადადებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოახდინა განკარგულება კონდოლის და კარდანახის სოფლის კომისრების დაპატიმრების და პასუხის მგებლობაში მიცემის შესახებ; მათ, მიუხედავათ იმისა, რომ მთავრობისგან ნება დართულია პურით თავისუფალი ვაჭრობა, ნება არ დართეს აღნიშნულ რაიონებიდან პურის გამოტანაზე და რეკვიზიცია უქნეს.

## რკინის გზაზე.

○ კახეთის რკინის გზის მთავარმა კომიტეტმა 17 ენკენისთვეს თავის სხდომაზე დაადგინა: მთავარი კომიტეტი რჩება თავის პოზიციაზე იმავე უფლებებით აღჭურვილი როგორითაც იყო იგი დღემდე და განაგრძობს ძველებურად მუშაობას გზის საკეთილდღეოდ. ეს დადგენილება ეცნობოს გზათა მინისტრს. ამ რეზოლიუციის გამო გზათა მინისტრმა დაიბარა პირად საქმის ასახსნელად კომიტეტის თავმჯდომარე სვ. ჯუღელი.

○ საქართველოს რკინის გზის სასურსათო კომიტეტს პურის ყიდვა-გაყიდვაში მოსამსახურეთათვის უზარალია 1762.439 მ. 54 კაპ., 11 მკათათვიდან 1 ენკენისთვემდე.

○ საქართველოს რკინის გზების უფროსმა ინჟ. ა. გ. კანდელაკმა ქაღალდი შეიტანა სამინისტროში, რომ მას 1 თვით მიეცეს დრო ახალ სამსახურის მოსაძებნათ.

○ მოძრაობის ნაწილის 1 განყოფილების უფროსი კორძაია ტყიბულიდან დეპეშით ატყობინებს მინისტრს, რომ 18 სექტემბერს მომხდარა თათბირი, რომელსაც დასწრებიან ქუთაისის გუბ. კომისარი ჩხიკვიშვილი და წარმომადგენელნი ქუთაისის და ჭიათურის მუშათა ორგანიზაციებისა და ტყიბულის მუშათა რწმუნებულნი. ტყიბულის მუშათა მიტინგმა დაადგინა 19 სექტემბრიდან 5 საათიდან დაიწყონ მუშაობა. ადმინისტრაცია თავის მხრივ შეჰპირდა აღუსრულოს, რასაც შეპირდა მთავრობა და იმ საქონლის მიტანა, რომელიც იქ არ იშოვება. გარდა ამისა აღუთქვა უქმე დღის წინად მატარებლით ჩაყვანა თავიანთ სახლებში ქუთაისამდე. ტყიბულიდან მატარებელი გავა ნაშუადღევის 2 საათზე და ქუთაისიდან მეორე დღის 12 საათზე დაბრუნდება.

## ხოლერა.

○ უკანასკნელ დღეებში ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 3 ხოლერით ავათმყოფი და 4 საეჭვო. გადაიყვანეს ხოლერის საეჭვო განყოფილებიდან და სხვა განყოფილებიდან 2; გამოძთელების შემდეგ გამოეწერა 2; გარდაიცვალა ხოლერით 8. 19 სექტემბრისათვის საავადმყოფოში ხოლერით ავადმყოფი ითვლებოდა 111 და საეჭვოთ მყოფი კი 14 საექიმო განყოფილების ცნობით, თბილისის მაზრის სოფელ საგარეჯოში გამოჩენილა ხოლერით ავათმყოფი, აგრეთვე სიღნაღის მაზრის ორ სოფელში; კელმენჩურში 2 და სოფელ ახალ ალექსანდროვკაში კი 10, რომლის რიცხვიდან უკვე 6 გარდაცვლილა.

## სხვა და სხვა ამბები.

○ როგორც ტყიბულიდან იტყობინებიან, მუშების გაფიცვის ლიკვიდაცია მოხდა. მუშები დასთანხმდენ წარდგენილ პირობებზე და დაიწყეს მუშაობა.

○ ოსების ყრილობა იტყობინება, რომ მთელი ოსეთის მცხოვრებლები იარაღს იყრის. ოსეთში ეხლა სრული სიმშვიდეა.

○ იმ 40 ქალაქიდან, რომლებიც შედიოდენ კავსოგორში, რეორგანიზაციის შემდეგ, საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის შემადგენლობაში შედიან შემდეგი ქალაქები: თფილისი, გორი, გაგრა, დუშეთი, ზუგდიდი, ქუთაისი, ყვირილა, კოჯორი, ლანჩხუთი, ახალსენაკი, ოზურგეთი, ოჩემჩირე, ფოთი, სიღნაღი, სამტრედია, სურამი, თელავი, ხონი, ხაშური და ჭიათურა.

○ სოფ. თოხლიაურში (გარე კახეთი) 17 ენკენისთვეს დიდი სეტყვა მოსულა, რომელსაც გაუნადგურებია მამულები. ზარალი დიდია.

○ აღბულაღის რაიონში მომხდარ უწესოებათა გამო გენ. წულუკიძემ ამ რაიონს 1800000 მან. ხარჯი დაადო და იარაღი აჰყარა.

○ ქართულ გერმანულ კულტურული საზ. კრება შესდგება კვირას 11 ს. ფრეილინის ქუჩ. არტურ ლეისტი წაიკითხავს ლექციას „ქართული პოეზია და ფრიდრიხ ჰეინე და ქართველი პოეტები“.

○ სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა ოჩემჩირიდან მიიღო დეპეშა კონიევისაგან, ჯუღელისაგან და დგებუაძისაგან: „სამურზაყანოს რაიონში ჩვენმა რაზმელებმა შეიპყრეს 100 ასკერი ოსმალეთის ტანთსაცმელში გამოწყობილი. ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ რომ ორი სამი დღის შემდეგ სამურზაყანოელები თვით დაამყარებენ წესრიგს, რადგან ყაჩაღთა მოთავენი დარწმუნდენ თავიანთ სისუსტეში. გვთხოვენ პატიებასა და თვით გვნებდებიან.

○ 19 სექტემბერს დაბრუნდა ტფილისში საგანგებო რაზმი, რომელიც 6 თვის განმავლობაში თავგამოდებით იცავდა ოჩემჩირისა და სოხუმის რაიონებს ოსმალთა ასკერებისაგან და ბრბოებისაგან.

○ თფილისში ჩამოვიდა ინგუშების ოსების და ჩეჩენთა ყუბანის ყაზახების წარმომადგენელნი 60 კაცამდე ამ დღეებში. გერმანიის დელეგაციის წინადადებით შესდგება შეერთებული სხდომა საერთაშორისო დამოკიდებულობის გამოსარკვევათ.

○ არსენ მამულაიშვილის გვამს გამოასვენებენ თავის ბინიდან დღეს სალ. 7 საათზე და დაასვენებენ ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება ხვალ დილას 11 საათზე დიდუბის სასაფლაოზე.

## გამოსადეგი ცნობები

### სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა

კახეთის რკინის გზაზე:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3—გადის თელავიდან | დილის | 8 | ს. 28 | წ. |
| გურჯაანში მიდის | „ | 10 | „ 14 | „ |
| თბილისში | „ საღამოს | 5 | „ — | |
| № 4—თბილისიდან გადის | დილის | 8 | „ 58 | „ |
| გურჯაანში მიდის | ნაშუადღ. | 3 | „ 24 | „ |
| თელავში | „ საღამოს | 5 | „ — | |
| № 5—წნორის წყალიდან გადის | დილის | 8 | „ 42 | „ |
| გურჯაანში მიდის | „ | 10 | „ — | „ |
| № 6—გურჯაანიდან გადის | ნაშუად. | 4 | „ 15 | „ |
| წნორის წყალში მიდის | „ | 6 | „ 20 | „ |

## განცხადებები

ამით ვაუქმებ ვექილობის წერილს, რომელიც მივეცი მიხეილ ივანეს ძეს გრიგორიევს და რომელიც შემოწმებულია სოფ. ბეშნორაშენის ნოტარიუსთან 1917 წლის თებერვლის თვეში. არშაკ გიორგის ძე მირზოიანცი. 727 3-3

ბ. ონისიმოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახელმწიფო ბანკის „Сохранные“ ხელწერილები № № 3301, 3303, 3571, 3572 და შემნახველი კასის წიგნაკი № 47735.
737 3—3

სერგი მიხეილის ძე ლოტოევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა თამასუქი 10.000 მან., მიცემული მასზე და ანდრია არსენის ძე ისიჩენკოზე ხორენ იაკობის ძე ტერ-აბრამოვის მიერ 3 სექტ. 1918 წ. 750 3-3

კავკასიის ფრონტის მესამე უბნის საქმეების ცალკე ხელმძღვანელის გამგეობა ამითი აცხადებს მოსამსახურეთა და მოიჯარადრეთა საყურადღებოდ, რომ ლიკვიდაცია შეწყვეტილია. იმისი მოწმობანი, მოსამსახურეთა და მოიჯარადრეთა შორის ვისაც რა ერგება, გაგზავნილია საქართველოს ჯარის საინჟინერო-სატეხნიკო ნაწილის ინსპექტორის გამგეობაში, საიდანაც მსურველთ შეუძლიათ მიიღონ.
738 (3—3)

დაიკარგა ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის ბილეთი № 75343 150 მანეთისა და პასპორტი. 761 (3—3)

სოფ. საგარეჯოში

ხოლერის გაჩენის გამო

საგარეჯოს აღმასრულებელი კომიტეტი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ როგორც საგარეჯოში ისე მახლობელ სოფლებში აკრძალულია ნახმარ ტანისამოსის, ხალიჩების და სხვა ძველ ნივთების შემოტანა. ვისაც ამგვარი აღმოაჩნდება, ჩამოერთმევა და დაიწვება.

საგარეჯოს აღმასრულებელი კომიტეტი.
433 10—2

დავკარგე ჩერქეზიშვილის ქუჩაზედ უვადო პასპორტი და მედიატორული განჩინება მნახველს ვთხოვ დამიბრუნოს დოკუმენტები. მისამართი: მე-11 ნაწილში, აფანასევის ქუჩა, სახლი, № 40, იასონ ისიდორეს ძე რუხაძე.
763 3—2

სიღნაღის მაზრის კომისარიატი ამით აცხადებს, რომ ქ. სიღნაღის მცხოვრებმა გიორგი ზაქარიას ძე გოგოსაშვილმა დაჰკარგა შემდეგი დოკუმენტები: სახელოსნოს სასწავლებლის ატესტატი, სამასწავლებლო მოწმობა, საზღვაო სასწავლებლის მოწმობა, მპოვნელი ზემოაღნიშნულ დოკუმენტებისა მოვალეა წარმოადგინოს სიღნაღის სამაზრო კომისარიატში.
432 3—2

ამელია ფრანცევიჩის ასული მულინისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა შენახული ფულის კვიტანცია № 3339, მიცემული ტფილისის სახელმწიფო ბანკის მიერ, მომგებიანი ბილეთი № 4058/6. 3—1

კიმოთე ილიას ძე გურჯიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სადგურთან 1) პირადობის მოწმობა, 2) ქალაქ რონენბურგის სამხედრო ექიმის მოცემული ავადმყოფობის მოწმობა, 3) სამხედრო ბეგარიდან განთავისუფლების ორი ბარათი (ერთი ძმის) და მასთან ფული 400 მ. (ზემო მოხსენებული მოწმობის ნუმრები არ ახსოვს). მნახველს სთხოვენ შემოიტანონ „საქართველოს რესპ.“ რედაქციაშიდ. 777 3—1